# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 30 აგვისტო 2005 №197 (2520) ფასი 50 თეთრი



## ხიზანიშვილი: ალკმაარი და ბლექბერნიც

„გლაზგო რეინჯერსის“ 23 წლის მცველი ზურაბ ხიზანიშვილი თბილისში გუშინ ჩამოვიდა და ეროვნულ ნაკრებს დღეს შეუერთდება. არახალია, რომ ხიზანიშვილი „რეინჯერსიდან“ წასვლას აპირებს და ზურასაც გუშინ ამ საკითხზე გამოველაპარაკეთ...

— ერთ-ერთ გლაზგოურ გაზეთში დაიწერა, რომ „ალკმაარის“ გარდა ჩემით „ბლექბერნიცაა“ დაინტერესებული, რაც ჩემმა აგენტმა ივან ბენეშმაც დამიდასტურა. ყველაფერი სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე, 1 სექტემბრამდე გადაწყდება.

*— თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, სანაკრებო შეკრებიდან კონტრაქტზე ხელმოსაწერად ევროპაში წასვლის ნებას დაგრთავენ?*

— ვფიქრობ, წინააღმდეგი არავინ იქნება — ნაკრების ხელმძღვანელობის სურვილიცაა, რომ ისეთ გუნდში გადავიდე, სადაც სათამაშო პრაქტიკა მექნება.

## ბადრი პატარკაციშვილი: ვესტ ჰემის მფლობელი?

ცნობილი ქართველი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი, შესაძლოა, ინგლისური „ვესტ ჰემის“ მფლობელი გახდესო — წერენ ალბიონური სააგენტოები — ბატონი ბადრი რუსი ბიზნესმენის ბორის ბერეზოვსკის კომპანიონია და მათ ინვესტიციები აქვთ ჩადებული ბრაზილიის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „კორინთიანსში“, რომლის მფლობელიც MSI გახლავთ.

„მე იდეაში მაქვს რამდენიმე საფეხბურთო პროექტი, რომელშიც თანხის დაბანდება მინდა, თუმცა დაკონკრეტება, ანუ კარტების გახსნა ჯერ ნაადრევია“ — განაცხადა პატარკაციშვილმა.

# დარსაძემ ათით და ორი ზესტაფონელით დაიწყო

## დღეს ნაკრები გაიხსნება

გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრები აგრარულ უნივერსიტეტთან მდებარე ფეხბურთის ფედერაციის ბაზაზე შეიკრიბა — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში 3 სექტემბერს ჩვენები უკრაინას მასპინძლობენ, 7-ში კი დანიას ესტუმრებიან. გუნდის თავკაც გაიოზ დარსაძის განკარგულებაში გუშინ ათი ფეხბურთელი იყო, ხუთი ლეგიონერი და ამდენივეც ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე: გიორგი დემეტრაძე, დავით მუჯირი, ჯაბა კანკავა, გიორგი ლომაია, გოგიტა გოგუა, კახა ჩხეტიანი, გიორგი განუგრავა, ზვიად სტურუა, დავით ოდიკაძე და კახა ალადაშვილი. გუშინვე მათ პირველად ივარჯიშეს.



დარსაძემ ათეულს გუშინდელ ვარჯიშზე ორი ზესტაფონელი, შალვა ღონღაძე და გრიგოლ იმედაძეც დაამატა, თუმცა ოდენ მოთამაშეთა რიცხობრივი სიმწირის გამო — ღონღაძე და იმედაძე ნაკრებში გამოძახებულები არ არიან.

დღეს ეროვნული გუნდი სრულად უნდა შეიკრიბოს და დარსაძე ჟურნალისტებისთვის საუკრაინო-სადანიო შეკრების ერთადერთ ღია ვარჯიშს გამართავს, რომელიც 18 საათზე დაიწყება, სავარაუდოდ, თბილისის „დინამოს“ დიღმის ბაზაზე.

საქართველო — უკრაინის ეროვნულ ნაკრებთა მატჩი „ეროვნულზე“ გაიმართება, ხოლო ახალგაზრდულთა შეხვედრა წინა დღეს „ლოკომოტივზე“.

მოგეხსენებათ, ფიფას სანქციების გამო საქართველო — უკრაინას გულშემატკივარი ვერ დაესწრება — შეხვედრას მხოლოდ 150 კაცი უყურებს — ოფიციალური პირები და ჟურნალისტები. მატჩისადმი ინტერესი დიდია — 80 უკრაინელი ჟურნალისტია აკრედიტებული ვიდეოოპერატორებისა და ფოტორეპორტიორების ჩათვლით. შეხვედრას ერთი აზერბაიჯანელი ჟურნალისტიც გააშუქებს და ერთიც... რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს, იაპონელი.

ამასობაში სტუმრიანობაა ფეხბურთის ფედერაციაში — თბილისში ჩამოვიდნენ უეფას აღმასრულებელი დირექტორი ჯოზეფ მიფსუდი და უეფას გენერალური მდივნის თანაშემწე მარკუს შტულერი. მათი პროგრამა ეროვნულ ფედერაციებში აღმასრულებელი სისტემის მუშაობას მოიცავს. სტუმრები დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან და გენმდივან გრიგოლ ცაავასთან ერთად პრესკონფერენციასაც გამართავენ.

**დავით თავართქილაძე**

# ათი კილომეტრის დამარცხება

## კენენისა ბეკელე საოცარია

10 000 მეტრზე სირბილში ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა ეთიოპიელმა კენენისა ბეკელემ ბრიუსელში, „მეფე ბოდუინის“ სტადიონზე TDK-ს ოქროს ლიგის მორიგ ეტაპზე მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — 26:17.53 ანუ 47 ათასი მაყურებლის წინაშე პლანეტის წინა საუკეთესო შედეგი სამი წამით გააუმჯობესა და ამაში 50 000 დოლარი მიიღო



საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · პირველი წრე · 4 ტური

# 1 გოლი გოლის წილ 1

## იაშვილის თავზარი და კაიდარ-ტყმული

თბილისი. 28 აგვისტო. 17 საათი. ამერი. 900 (ტევადობა 900)

**ამერი 1:1 დინამო**

0:1 იაშვილი (74), 1:1 კაიდარაშვილი (76)

| | |
|---|---|
| ამერი: ლ. ნადირაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, გ. კვახაძე, ბერიანიძე, დეკანოსიძე (ბუალავა 48), დობროვოლსკი, სილაგავა, კოშკაძე (დ. მჭედლიშვილი 63), ა. კაიდარაშვილი, ს. დავითაშვილი | დინამო: სტურუა, ალადაშვილი, ორბელაძე (ქემოკლიძე 25), ამისულაშვილი, აკობია, ოდიკაძე, ლ. ნოზაძე, ბაბუნაშვილი (გ. ჭელიძე 39), ბობოხიძე (მეგრელაძე 80), კ. მახარაძე, ს. იაშვილი |
| სათადარიგონი: ნაჭყებია; ნიკოლაიშვილი, გარუჩავა, ნ. ნადირაძე, გვაძაბია | სათადარიგონი: ზოიძე, ნავალოვსკი, გიგაური |
| მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | მწვრთნელი: კახა ცხადაძე |

გაფრთხილება: ბობოხიძე (10), დავითნიძე (27), მახარაძე (34), ქემოკლიძე (60), დობროვოლსკი (59), ბუალავა (90), იაშვილი (90)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. ელისაბედაშვილი (თბილისი)

ინსპექტორი: გ. ბარქაია



სოსო კოტორეიშვილი

ორგოლა და გულიან თამაშში ის ფრე გამოცხვა, რომელმაც წინა ტურში მარცხნაჭამ „ამერსა" და „დინამოს" სამქულიანი შიმშილი ვერ დაუპურა. გასული სეზონის უმაღლესი და პირველი ლიგების ჩემპიონთა შეხლა იმდაც იყო საინტერესო, რომ ერთმანეთს 90-იანი წლების საქართველოს ნაკრების დაცვის ყოჩების, გიორგი ჩიხრაძისა და კახა ცხადაძის დამოძღვრილი გუნდები ეტოქებოდნენ.

ტრავმების გამო ფაქტობრივად უოვედამსხმელოდ დარჩენილ ჩიხრაძეს სხვა გზა არც დარჩენოდა, ჯანზე მყოფ ერთადერთ ფორვარდ სულიკო დავითაშვილს ზურგი ხუთი ნახევარმცველით გაუმაგრა, ოღონდ ეგაა, მათგან ერთისთვის, ალექსანდრე კაიდარაშვილისთვის „აბრეზასთვის" ფეხის შეშველება უფრო დაევალებინა, ვიდრე „დინამოს" ნახევარდაცვისთვის შეტევების ორგანიზების ჩაშლა.

ცხადაძემ კი, ზესტაფონში წაგებული თამაშის მერე, მელქაძე-მეგრელაძის წყვილს იაშვილ-ბობოხიძის დუეტი ამჯობინა და მათი პასებით მომარაგება ოთხკაცა ნახევარდაცვას მიანდო.

მატჩის დაწყებისთანავე გამოჩნდა, რომ „ამერი" სტუმარს ბურთის კონტროლს დაანებებდა, თუმც საკუთარ სანახებში გადმოსულს მის ართმევას და სწრაფი ფლანგელების, გიორგი სილაგავასა და ალექსანდრე კოშკაძის იმედით კონტრშეტევების წამოწყებას შეეცდებოდა. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ თუ სილაგავამ მეტ-ნაკლებად შეასრულა მწვრთნელის დავალება, კოშკაძეს აშკარად გაუჭირდა კახა ალადაშვილისა და დავით ოდიკაძის ნავარდის შეჩერება — ექსტორპედოელი გლდანელთა მარცხენა მცველის ჯაბა ბერიანიძის დახმარებით უფრო იყო დაკავებული, ვიდრე „დინამოს" მცველთა შეწუხებით.

მეხუთე წუთზე სტუმრებმა პირველი სახიფათო მომენტი შექმნეს — ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთისთვის მიხეილ ბობოხიძეს ფეხი რომ მოერტყა, ვინძლო ანგარიშიც გახსნილიყო, მაგრამ დინამოელთა ფორვარდმა ვერ ივარგა.

„ამერმა" ჩემპიონს ორიოდ წუთში უპასუხა — სილაგავამ მეტოქის საჯარიმოში ეულად შეჭრილი კოშკაძე დალანდა და პასიც არ დაახანა, მაგრამ დინამოელთა კაპიტანმა სერგო ორბელაძემ ბურთი ამერელამდე არ მიუშვა.

25-ე წუთზე ორბელაძე შესაცვლელი შეიქნა — დავითაშვილთან ორთაბრძოლისას მოედანზე მოსხლეტით დაეცა და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლავიწის ძვალი გაიტეხა. ამ ეპიზოდის მერე ისეთი თამაში გახურდა, თქვენი მოწონებული. ჯერ იყო და, დავითაშვილმა ალექსანდრე ამისულაშვილს დაასხა რეტი, საჯარიმოში ჩაწოდებაც მოახერხა, მაგრამ ზვიად სტურუამ იყოჩაღა და კაიდარაშვილს ბურთი თავიდან ააცალა. მერე იყო სანდრო იაშვილის საჯარიმოდან უძლიერესად დარტყმული და გლდანელთა ახალგაზრდა მეკარის, ლადო ნადირაშვილის დროული ნახტომი. აქვე ვთქვათ, რომ გიორგი ნიკურაძის ნაცვლად მოთამაშე ნადირაშვილმა პრაქტიკულად უშეცდომოდ ითამაშა, პირისპირ შეყრილ ოდიკაძესაც აჯობა და გამოსვლებზეც რიგიანად გაისარჯა.

მაგრამ „ამერს" 74-ე წუთზე ვერც ნადირაშვილმა უშველა — ალადაშვილის ჩაწოდებულ ბურთს ჰაერში დაკიდებული იაშვილი შეეგება და თავით ისეთი გოლი გამოადნო, გლდანის კოხტა სტადიონზე შეკრებილ ცხრაასამდე მაყურებელს ტაში არ დანანებია.

ტაში და ოვაცია ორი წუთის თავზე უნდა გენახათ — დაწინაურებულ და სამქულადაგულებულ „დინამოს" ალიყური ალექსანდრე კაიდარაშვილმა აჭამა — ჯერ კიდევ მოზეიმე ჩემპიონის მცველებს ამერელთა ხოტორა ნახევარმცველმა მოხდენილად ჩაუდრიბლინგა, საჯარიმოში შეჭრილმა კი მახვილი კუთხიდან დააქუხა და ბურთი სტურუას კარის ცხრიანში შეჭედა — 1:1.

დარჩენილ დროში მეტოქეებმა კიდევ რამდენჯერმე უჩხვლიტეს ერთმანეთს, მაგრამ დაჭრამდე საქმე აღარ მისულა — ქულა შენ, ქულა მეო — ასე დაშორდნენ ერთმანეთს.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „დინამოს" თავკაცმა კახა ცხადაძემ მისი გუნდის სათამაშო უპირატესობაზე ილაპარაკა, საგოლე მომენტების გამოუყენებლობაზეც დაიწუწუნა და ისიც არ დაუმალავს, ვიცოდი, „ამერი" თამაშს კონტრშეტევებზე რომ ააგებდაო. ხოლო ჩიხრაძის აგებულის ვერდანგრევა უიღბლობას და ისევ და ისევ მომენტების ქარს გატანებას დააბრალა. „ამერის" თავკაცმა ფრე ლოგიკურ შედეგად მიიჩნია, თავის ფეხბურთელებს კი დავალების კარგად შესრულება და თავდადება მოუწონა.

# დარსანია ამერში



ბულგარული „ჩერნო მორედან" საქართველოში დაბრუნებული ნახევარმცველი კონსტანტინე დარსანია თბილისის „ამერში" ჩაირიცხა. კლუბი და ფეხბურთელი თითქმის ყველაფერზე შეთანხმდნენ და დარსანიასაც დღე-დღეზე შეიყვანენ საჩემპიონატო განაცხადში.

ფოთის „კოლხეთისა" და ბოლნისის „სიონის" ყოფილი ფეხბურთელი ბულგარეთში შარშან წავიდა, „ჩერნო მორეში" ჩაირიცხა და 14 მატჩში 3 გოლიც გაიტანა. ამ ცოტა ხნის წინ ლაპარაკი იყო, დარსანია „დინამოში" ჩაირიცხებაო, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ახლა კი კოტე „ამერშია".

ლუკა თალაკვაძე

## ინგლისი

ჩემპიონატი. VI ტური

ლუტონი 2:1 მილუოლი
იფსვიჩი 0:4 პრესტონი
ჰალი 1:1 ლესტერი
რედინგი 2:1 ბარნსლი
ბრაიტონი 2:0 პლიმუთი
დერბი 1:2 უოტფორდი
ძრიუ 1:3 შეფილდი
სტოკი 3:1 ნორვიჩი
ძოვენთრი 1:1 საუთჰემპტონი

I ლიგა. VI ტური

საუთენდი 3:1 კოლჩესტერი
სუონსი 3:1 ბარნსლი
დონსი 0:0 პორტ ვეილი
დონკასტერი 1:2 ჰადერსფილდი
ჰარტლპული 3:3 სკანთორპი
ბრენტფორდი 1:1 ჯილინგემი
ბორნმუთი 0:0 უოლსოლი
ბლეკპული 1:0 ბრედფორდი
იოვილი 1:3 ჩესტერფილდი
ტრანმერი 1:0 სუინდონი
ოლდემი 0:1 როტერჰემი

II ლიგა. VI ტური

მაკლსფილდი 1:0 ბერი
ლეიტონი 0:1 შრიუსბერი
რექსემი 3:1 ბარნეტი
ტორკი 0:1 ჩესტერი
სტოკპორტი 1:1 პიტერბრო
ნორთჰემპტონი 3:2 ბოსტონი
მენსფილდი 2:3 ნოტსი
ლინკოლნი 0:0 კარლაილი
გრიმსბი 2:0 რაშდენი
დარლინგტონი 2:1 როჩდეილი
უიკომბი 0:0 ჩელტენემი

კონფერენსლიგა. V ტური

გრეი 2:1 ალდერშოტი
კონვი 1:2 დაგენემი
სკარბორო 2:2 აკრინგტონი
ექსეტერი 0:0 ფორესტ გრინი
ძროული 1:2 სტივენიჯი
კემბრიჯი 0:2 კიდერმინსტერი
ალტრინჰემი 2:0 მორიკომბი
უოკინგი 1:3 გრეივსენდი
ტემუროთი 0:1 ჰერეფორდი
საუთპორტი 3:2 ბარტონი
ჰალიფაქსი 1:0 იორკი

## ჰოლანდია

II დივიზიონი. V ტური

ზვოლე 0:0 დენ ბოსხი
ვოლენდამი 3:1 აპელდორნი
ოსი 0:1 ექსელსიორი
ალმერე 2:2 იგლსი
მაასტრიხტი 2:1 ვეენდამი
ჰელმონდი 2:0 ტელსტარი
ჰარლემი 0:4 პსვ (მ)
ემენი 1:2 ვენლო
გრააფსხაპი 1:1 დორდრეხტი
კამბური 2:2 ფორტუნა

## ისლანდია

პრიმერადივიზიონი
XVI ტური

ვალური 1:1 ვესტმანაიაიერი

## საბერძნეთი

ნაციონალლიგა. I ტური

ატრომიტოსი 0:0 აეკ

## ნორვეგია

ტიპელიგა. XIX ტური

ბრანი 4:0 ფრედრიკშტადი

## გერმანია

II ბუნდესლიგა. III ტური

ფიურტი 2:2 მიუნხენი

## პორტუგალია

სუპერლიგა
II ტური

ამადორა 1:1 ბოავიშტა

## საფრანგეთი

II დივიზიონი
VI ტური

გენიონი 0:0 ამიენი

## იტალია

სერია B
I ტური

ტრიესტინა 0:0 ბოლონია

## შვედეთი

ალსვენსკა
XX ტური

ჰამარბი 0:0 ელფსბორგი
ლანდსკრონა 0:0 ჰალმშტადი
კალმარი 2:0 ჰელსინგბორგი
იორგრიტე 1:2 გიოტებორგი

სუპერეტა. XXII ტური

ვასტერასი 1:0 ატვიდაბერგი
ნორჩიოპინგი 2:1 ვესბი

საქართველოს XVII ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა პირველი წრე 4 ტური
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# რკინი-გზა არწივებისკენ

## სირაძე ტაიმ-ტაიმ უმატებს



თბილისი. 29 აგვისტო. 17 საათი. მიხეილ მესხი. 150 (ტევადობა 25 600)

### ლოკომოტივი 2:1 დილა

1:0 ქებაძე (9), 2:0 სირაძე (37), 2:1 ხანიშვილი (45)

**ლოკომოტივი:** გ. ჭანტურია, საჯაია, ინომოვი, მახვილაძე, დ. ფოფხაძე, გ. ონიანი, სეთურიძე (რ. ონიანი 46), ა. ნოზაძე (ალავერდაშვილი 46), ქებაძე, სირაძე, კახელიშვილი (რამონი 87)
*სათადარიგონი:* ჩალაძე, ფიფიანი, მ. ულენტი, ხარაძე
**მწვრთნელი:** ნოდარ აკობია

**დილა:** თ. ილურიძე, რევაზიშვილი, ი. კობახიძე (პეტრიაშვილი 64), ლ. გოჩაშვილი, ქარქუზაშვილი, კ. ხანიშვილი, ტლაშაძე (მძინარიშვილი 31; ი. თომაშვილი 74), ალ. ლაბაძე, მ. თაყაძე, სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* ციცაგი, ი. ნადირაძე, ხვიჩია, კირგალიძე
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**გაფრთხილება:** გ. ონიანი (64), გოჩაშვილი (90)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), მ. ურუშაძე (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)

**ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**ილია ნანობაშვილი**

**გორის „დილა“** შარშანდელივით აღარ ბეჩავობს, განვლილ სამ ტურში ექვს ქულას მოუკრა პირი, მაგრამ ისიც სათქმელია, ვისთან... „ლოკომოტივი“ ნაღდად არაა „დილას“ საკბილო გუნდი, უფრო დიდი ამბიციები აქვს და გულს ის გვწყვეტს, გუშინდელ თამაშში ამ ამბიციის ნასახიც რომ არ ჩანდა — ძალიან მოსაწყენი ბურთაობა იყო „მიხეილ მესხზე“, კუსნაბიჯა ტემპი და უზუსტო პასები, თუმცა გოლებს არა უშავდა...

მე-9 წუთზე დავით სირაძემ უნიჭოდ შექმნილი თამაშგარესას გამოიჭირა გორელთა მცველები, გიორგი კახელიშვილს უპასა, რომელმაც წამსვე ლაშა ქებაძე მონახა და 1:0. ქებაძეს მალევე დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ მახვილი კუთხიდან თამაზ ილურიძეს ვერ აჯობა.

„დილა“ გასატანად გაიწიაო, ვერ ვიტყვით. ერთადერთი შეცვლაზე შესული გაგა მძინარიშვილის არაზუსტი თავური დაგვამახსოვრდა.

აბურდულ-ჩახლართულ თამაშში კი ისევ სირაძემ იყოჩაღა: დათო გორელ მცველებს შორის დატრიალდა და საჯარიმოს მისადგომებიდან მობილიარდის სიზუსტით გააქანა ბურთი კარში — 2:0. ეს ამბავი 37-ე წუთზე მოხდა.

ისე ჩანდა, „დილა“ საბოლოოდ უნდა გამტყდარიყო, მაგრამ ზედ შესვენების წინ კობა ხანიშვილი საბა სულთანიშვილის კუთხურს მძლავრი თავურით გამოეხმაურა და ანგარიში შეალამაზა.

დიდ ბოდიშს ვიხდით, მაგრამ მეორე ტაიმზე ერთ-ორ სიტყვას ვიმყოფინებთ, რადგან „სამი-ოთხისა“ არაფერი ყოფილა. ეგაა, ნოდარ აკობიამ დაჩი ფოფხაძე მარცხნიდან მარჯვნივ გადასწია, რამაც „ლოკომოტივს“ ფლანგი დააპყრობინა, ხოლო სირაძე უფრო აზრიანად ათამაშდა და კარგი პასებიც არიგა.

და კიდევ, სამთვიანი მკურნალობის შემდეგ თბილისელებს ბრაზილიელი რამონი დაუბრუნდათ.

მასპინძლებს მოგების შენარჩუნება არ გასჭირვებიათ და მეოთხე ადგილზე აინაცვლეს. ამასთან, როგორც ჩანს, „ლოკომოტივი“ გასული სეზონის თავისსავე რეკორდს — ხანგრძლივი წაუგებელი სერიის გამოცხობას უმიზნებს.

# რეალობა თუ ფატალური უიღბლობა?

ქუთაისი. 28 აგვისტო. 17 საათი. ტორპედო. 2 500 (ტევადობა 20 000)

### ტორპედო 0:1 ბათუმი

0:1 ბურნაძე (23)

**ტორპედო:** რევიშვილი, რატი ბარაბაძე, ლალაძე, მოლაკელიძე, დოლონაძე (ლონდაძე 34; კ. შალამბერიძე 56), ტეხოვი, ფოფხაძე, ბურჯანაძე (გ. შენგელია 46), დ. ჯანაშია, ძოძუაშვილი, კ. კვეტენაძე
*სათადარიგონი:* გ. ბარაბაძე, კვერნაძე, ბზიკაძე, ქურციკიძე
**მწვრთნელი:** რევაზ ბურკაძე

**ბათუმი:** თოთლაძე, ი. მახარაძე, ბეგლარ თედორაძე, გუშირაშვილი, გალოგრე, გ. ჯელაძე, მ. ბურნაძე (სიდამონიძე 71), გ. მანჯგავა, ქაცარავა, დარჩიძე (ცანავა 80), კაკალაძე (გ. მიქაძე 70)
*სათადარიგონი:* ი. ბალაძე, ზირაქიშვილი, ბესო თედორაძე, ექონია
**მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

**გაფრთხილება:** ჯელაძე (55)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; მ. ურუშაძე, ა. ნონიკაშვილი (სამივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**ინსპექტორი:** ე. სილაგავა; **დირექტორი:** ე. თევზაძე

**ზაზა ცინცაძე** ქუთაისიდან

**მატჩის** წინ „ტორპედოს“ საკადრო პრობლემები შეექმნა — ვერ ითამაშა გამოცდილმა მცველმა კახა ებრალიძემ, რომელიც ავტოავარიაში მოჰყვა და ჯერაც არ გამოჯანმრთელებულა, თუმცა, ისიც ვთქვათ, რომ გაშვებულ გოლში ქუთაისელთა დაცვას ნაკლებად თუ დავადანაშაულებთ.

ზღვისპირელებმა თითქმის ყველაფერში დაჩაგრეს მეტოქე და სამართლიანადაც მოიპოვეს სამი ქულა. განსაკუთრებით მწყობრად გამოიყურებოდა სტუმართა დაცვა, რომელსაც მთელი მატჩის განმავლობაში შეცდომა თითქმის არ დაუშვია.

პირველი ოცი წუთი „ტორპედომ“ ყინიანად შეუტია მეტოქეს და მესამე წუთზევე შეეძლო სანატრელი გოლი გატანა — დავით ჯანაშიამ მერაბ ძოძუაშვილთან „კედელი“ გაითამაშა, მაგრამ დარტყმა აღარ გამოუვიდა — კარს ააცილა.

მალე მასპინძელთაგან ერთ-ერთ ყველაზე აქტიურს, ვეტერან კახა კვეტენაძეს შეეძლო ანგარიშის გახსნა, თუმცა მისი შორეული დარტყმული გაჭირვებით მოიგერია მეკარემ.

23-ე წუთზე კი გოლი მასპინძელთა კარში გავიდა — მოლდოვიდან დაბრუნებულმა მურთაზ ბურნაძემ სტადიონზე მოსული ორი ათასამდე ქომაგი გააჩუმა. მან ბურთი „ტორპედოს“ საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო და არცთუ ძლიერად დაარტყა ნუკრი რევიშვილის კარში — ბურთი მარცხენა მაღალ კუთხეში ჩაეშვა, „ტორპედოს“ კაპიტნის ნახტომი ამაო გამოდგა — 0:1.

გაშვებულმა გოლმა „ტორპედო“ ფსიქოლოგიურად გატეხა და თამაში ვეღარ დაალაგა. მდგომარეობა დიდად არც შესვენების შემდეგ შეცვლილა, „ტორპედოს“ ქაოტურ შეტევებს „ბათუმი“ მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდა.

54-ე წუთზე ბურნაძეს მეორე გოლის გატანაც შეეძლო, ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო და „ტორპედოს“ ნახევარი ისე გადალახა, მისი შეჩერება ვერავინ შეძლო, თუმცა დასარტყმელად ძალა აღარ ეყო და ბურთი რევიშვილის იოლი ნადავლი გახდა. ერთ წუთში ბურნაძე თანაგუნდელებმა მეკარესთან პირისპირაც დატოვეს, მაგრამ...

73-ე წუთზე „ტორპედოს“ შეეძლო, ქულა გადაერჩინა — კვეტენაძემ კარგად გადააწოდა შეცვლაზე შესულ კობა შალამბერიძეს, რომელმაც მცველებს სწრაფად ჩაუდრიბლინგა, თუმცა მისი მოჭრილი დარტყმული სანტიმეტრებით ასცდა მარჯვენა ძელს.

მეტი მომენტი „ტორპედოს“ აღარ შეუქმნია — როგორც ვთქვით, ბათუმელები დაცვაში უშეცდომოდ ირჯებოდნენ.

**პრესკონფერენცია**

*ამირან გოგიტიძე:* ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენი გამარჯვება მარიამობის დღესასწაულს დაემთხვა. შედეგით კმაყოფილი ვარ, თამაშით კი უკმაყოფილო. საყვედური არ მეთქმის დაცვაზე. კმაყოფილი ვარ ბურნაძის თამაშითაც, რომელიც ყველაზე აქტიური იყო ჩვენს გუნდში რაც შეეხება კაკალაძეს, ეს არ არის მისი შესაძლებლობების ზღვარი და მან უნდა მოუმატოს.

*რევაზ ბურკაძე:* ერთი თვე გავიდა, რაც გუნდში ვარ და მეტ-ნაკლებად გავეცანი ფეხბურთელთა შესაძლებლობებს, ეს იყო ყველაზე უარესი თამაში, რაც ჩვენ მიმდინარე სეზონში ჩავატარეთ. გაშვებული გოლის შემდეგ მოედანზე მოვლენები ასოთხმოცი გრადუსით შეტრიალდა. გუნდმა ვერც დღეს გადალახა ფსიქოლოგიური ბარიერი.



მურთაზ ბურნაძემ (ბურთით) პირველი ბათუმური გოლი გაიტანა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · პირველი წრე · 4 ტური

# კიდევ ვის მართებს დვალის ვალი?

ბოლნისი. 28 აგვისტო. 17 საათი. თამაზ სტეფანია. 800 (ტევადობა 3 500)

## სიონი 2:0 კოლხეთი

1:0 დვალი (51), 2:0 დოლიძე (67)

სიონი: ბობღიაშვილი, კობაური, ხვანიძე, ჩიკვილაძე, რაქვიაშვილი (ქარდავა 46), დოლიძე (ბველიანი 76), ხმალაძე, კვიტაიშვილი, ბოლქვაძე, დვალი, მიკუჩაძე (ჩიჩუა 78)
სათადარიგონი: ასლანძე, კორსანტია, ბაჟელიძე, ე. შერებაშვილი
მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი

კოლხეთი: ბათიაშვილი, თურქია (ზ. ჯანაშია 46), ჟ. შალამბერიძე, დ. ნარსია (ციცაშვილი 32), ყურაშვილი, მარგალიტაძე, ფარულავა, კილასონია (გორგილიშვილი 60), ქუტიძე, კრასოვსკი, ქუთათელაძე
სათადარიგონი: ლაფარია, ტყებუჩავა, წიქარიშვილი
მწვრთნელი: სოსო ფილია

გაფრთხილება: კობაური (90)

მსაჯები: ლ. სილაგავა; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

ინსპექტორი: მ. ქელიძე

**დავით თავართქილაძე ბოლნისიდან**

**ბოლნისის** „სიონი“ კვლავაც ლიდერია, ხვიჩა ქასრაშვილის გაწვრთნილი გუნდი ისევ დაუმარცხებელია და ალბათ ამბიციებიც მოემატება — ჩემპიონატის პირველმა ოთხმა ტურმა დაგვანახა, რომ ცხრილის ზედა 10-12 გუნდი დაახლოებით თანაბარი ძალისაა და უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლაც შეუძლია.

ცოტა არ იყოს, უცნაურად მოგვეჩვენა, რომ ფოთის „კოლხეთთან“ მატჩს ბოლნისში ბევრი მაყურებელი არ ჰყავდა — „სიონი“ ხომ ამ თამაშამდეც ლიდერი იყო. მაგრამ ფოთელებთან გამარჯვების შემდეგ სიონელებს ალბათ ქომაგიც მოუმრავლდებათ.

...პირველი ტაიმის პირველი წუთებიდან ცოცხალი თამაში გაჩაღდა. მასპინძელი უტევდა, სტუმარი თავს იცავდა, თუმც „კოლხეთი“ კონტრშეტევასაც არ ივიწყებდა.

„სიონმა“ რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელა, უნაღდესი საგოლე შანსი კი პირველ ტაიმში ერთი ჰქონდა — კოკა მიკუჩაძის ჩინებული პასის შემდეგ ლევან ხმალაძე ზურაბ ბათიაშვილთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა.

მეორე ტაიმიდან ბოლნისელებმა უფრო მხნედ და აგრესიულად შეუტიეს, სისწრაფესაც მოუმატეს და გოლიც შეაგდეს — ჯაბა დვალმა მეტოქის საჯარიმო მოედნის მისადგომებთან მიიღო ბურთი, ერთ მცველს გასცდა და ოციოდე მეტრიდან მოსხიპა დაბალი ბურთი ბათიაშვილისთვის შორეულ კუთხეში.

„სიონს“ მალევე შეეძლო კიდევ ეხეირა, მაგრამ შანსები გაანიავა — დავით ბოლქვაძემ ახლოდან ვერ გაისწორა მიზანი, დვალს ბათიაშვილმა აუღო, ბოლქვაძეს ერთხელაც უმტყუნა სიზუსტემ და, როგორც იქნა, ბოლნისელებმა გასატანი მაინც გაიტანეს — დვალბოლქვაძის პასაობის შემდეგ დოლიძემ კარიდან გამოსულ ბათიაშვილს დაასწრო და 2:0.

ამის შემდეგ უკვე „კოლხეთს“ უნდა ეყოჩაღა, თუმც ზვიად ქუთათელაძემ ჯერ ზამირ ჯანაშიას პასი ვერ შეიშნოვა, მერე ედიშერ მარგალიტაძის — ორივეჯერ კარს ააცილა. მატჩის ბოლო წუთზე კი დვალს უღალატა მიზანმა, თუმც იგი მატჩში უდავოდ ყველაზე გამორჩეული იყო.

### პრესკონფერენცია

*სოსო ფილია:* მეტოქემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ჩვენ კი სეზონამდე ფაქტობრივად ერთი კვირით ადრე შევიკრიბეთ და ჯერ ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაში ვართ. დღეს ჩვენმა დაცვამ საქმეს თავი ვერ გაართვა, სუსტად ითამაშა. „სიონიდან“ დვალს და დოლიძეს გამოვარჩევდი.

*ხვიჩა ქასრაშვილი:* დღეს ძალიან მობილიზებული გუნდი დაგვიპირისპირდა. სანახაობრივად ნორმალური თამაში იყო, მეორე ტაიმში კი ჩვენი უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა და გოლებიც გავიტანეთ.

# ბორჯომი ორძელზე

თბილისი. 28 აგვისტო. 17 საათი. ოლიმპი. 400 (ტევადობა 3 000)

## ბორჯომი 2:1 კახეთი

1:0 ქორიძე (51), 1:1 ბედოიძე (69), 2:1 შ. ჯიქია (80)

ბორჯომი: მამალაძე, ს. ბურნაძე, ლ. ქელიძე, ბაქრაძე, მესხი, მემარნიშვილი, გაბისკირია, შ. ჯიქია, გეწაძე, რ. ჯიქია (გვირჯიშვილი 52), გ. ქორიძე
სათადარიგონი: მამარდაშვილი, მიქიაშვილი, ნასყიდაშვილი, გოგიჩაიშვილი, ადეიშვილი
მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

კახეთი: გიგა იაშვილი, ზვ. ლაბაძე, გ. ნადირაშვილი, ტარუღაშვილი, ბედოიძე (დამბაშიძე 82), კუპრაშვილი (ამირანიძე 90), კობაიძე, კველიშვილი, ნ. დავითაშვილი (ტეტიაშვილი 63), კუნჭულია, ბელაშვილი
სათადარიგონი: ძამუნაშვილი, იმერლიშვილი, ბ. ბურნაძე, ბიძინაშვილი
მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

გაფრთხილება: კუნჭულია (37), კველიშვილი (41), შ. ჯიქია (84), კუპრაშვილი (89)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ბ. ცირდავა (გულრიფში); გ. ასკაროვი (ქარელი)

ინსპექტორი: დ. გოგია; დირექტორი: ნ. კაკულია

**კახა შალამბერიძე**

**საუმაღლესლიგოდ** გაძლიერებულ „ბორჯომს“ ამაზე მეტი თუ არ შეუძლია, ძალიან გაუჭირდება საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა. ბორჯომელები მძიმედ მოძრაობენ და მომენტს თუ ქმნიან, ოდენ ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე. ეს კი როდემდე გაგრძელდება, ღმერთმა იცის...

ასე იყო კვირასაც — შოთა ჯიქიას უზუსტესი და უძლიერესი დარტყმული რომ არა, სოსო ფრუიძის გუნდი ორ ქულას დაკარგავდა და ამაში სენსაციური არაფერი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, თელავის „კახეთი“ ფრეს ალალად იმსახურებდა.

თამაშამდე ფავორიტად, ბუნებრივია, „ბორჯომი“ ითვლებოდა, თუმცა მასპინძლებს პირველ ნახევარში ორ მომენტზე მეტი არ შეუქმნიათ — ჯერ შოთა ჯიქიას თავური აილო მეკარემ, მერე კი რევაზ გეწაძემ „გალუნა“ ხარიხა.

მატჩი შესვენების შემდეგ უფრო ხალისიანი და სწრაფი იყო. ამას კი ბორჯომელთა გოლმა შეუწყო ხელი — გიორგი ქორიძემ საჯარიმოს სიახლოვიდან ისე დაარტყა, რომ ბურთი ყველას და ყველაფერს გაუძვრა და მარჯვენა დაბალ კუთხეში შეცურდა — 1:0. თელაველებიც ამოძრავდნენ და გასათანაბრებლად გაიწიეს.

წინა ტურში გაძევებულმა და დისკვალიფიკაციის გამო ტრიბუნაზე მჯდომმა ოთარ კორღალიძემ კიდევ ერთი თავდამსხმელი, ლუკა ტეტიაშვილი ჩართო თამაშში და „კახეთმაც“ შეტევებს უმატა. ვერ ვიტყვი, სტუმრებმა „ბორჯომს“ შტურმი მოუწყვესო, თუმცა რაც შექმნეს, გამოიყენეს კიდეც — ბედოიძემ მცველებს შეცდომა არ აპატია და ახლოდან თავურით გაათანაბრა — 1:1.

ამის შემდეგ ძნელი წარმოსადგენიც იყო, გოლი კიდევ თუ გავიდოდა, რადგან ფრით კმაყოფილი კახელები თავს კარგად იცავდნენ. ეგ არის, შოთა ჯიქიას გასროლილს ვერ მოუხერხეს ვერაფერი — ბურთი ჯერ ერთ ძელს მოხვდა, მერე მეორეს და — 2:1.

### პრესკონფერენცია

*ოთარ კორღალიძე:* „ბორჯომს“ მოგებას ვულოცავ. კარგი გუნდია და ვფიქრობ, მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა შეუძლია. თამაში საინტერესო გამოდგა. თავიდანვე დაცვითი ტაქტიკა ავირჩიე, რადგან სხვა გამოსავალი არ მქონდა. შეგვეძლო, ფრე გვეთამაშა, მაგრამ, სამწუხაროდ, წავაგეთ.

*სოსო ფრუიძე:* მიხარია, რომ მოვიგეთ. „კახეთი“ კონტრშეტევებზე გვეთამაშებოდა და ერთი-ორჯერ მწვავედაც შემოგვიტია. უფრო მეტი მოძრაობის ხარჯზე მაინც ჩვენ შევქმენით მომენტები და მეორე გოლიც ძალიან საჭირო დროს გავიტანეთ.

თბილისი. 27 აგვისტო. 17 საათი. შევარდენი. 600 (ტევადობა 1 000)

## სპარტაკი 0:1 სოხუმი

0:1 ელიზბარაშვილი (42ს.კ.)

სპარტაკი: ნაფეტვარიძე, ტაბიძე, ჯანგიძე, ელიზბარაშვილი, ხუბუა, თ. მჭედლიშვილი, ა. ჯანელიძე (კობალაძე 46), დიმეტრაძე (დანელია 46), მალიჩავა, ურუშაძე, ლუჭაშვილი (მაღლაფერიძე 87)
სათადარიგონი: ალ. ლაბაძე, დ. ფიფია, კბილცეცხლაშვილი, ჩანტლაძე
მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

სოხუმი: ა. ლაბაძე, თ. უგრეხელიძე, ზ. ჯელაძე, წერეთელი, გ. ჩხაიძე, ჩომახიძე, გუჩუა (ლ. სალაგაძე 73), ფეანია, ეგაძე (ჭყოიძე 85), რუსია (ი. ქანთურია 89), გადელია
სათადარიგონი: სეფიაშვილი, გ. ხაჩიძე, ფარჯიანი, შამუგია
მწვრთნელი: გოჩა ცორცოლიანი

გაფრთხილება: გუჩუა (10), ჯანელიძე (11), ხუბუა (21), უგრეხელიძე (47), რუსია (60), ტაბიძე (76)

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)

ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე; დირექტორი: პ. ბურჯალიანი

# ასჯერ ვინდა ზომავს, პირდაპირ ჩაჭერი
## სხვა რა, სხვა არც არაფერი

**კახა შალამბერიძე**

**დუნე,** მოსაწყენი და უინტერესო ბურთაობა ისეთი გამოდგა, როგორიც ორი აუტსაიდერის შეხვედრა უნდა იყოს — ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი მომენტები, ნელზე ნელი ტემპი...

ორივე გუნდი, „სპარტაკიც“ და სოხუმის „დინამოც“, „შევარდენზე“ ატარებს საშინაო მატჩებს. შაბათის მასპინძელი კი გიგლა იმნაძის გუნდი გახლდათ, თუმცა ამას ვერ იგრძნობდით — თანაბარი თამაში იყო.

პირველი ხიფათი „სპარტაკის“ კართან შეიქმნა, როცა შოთა ჩომახიძემ ითავა ჯარიმის დარტყმა, მაგრამ მცირედით ააცილა.

აქედან მოყოლებული, ტაიმის ბოლომდე მეტოქეებს ერთმანეთის კარისკენ არც გაუხედავთ. გოლიც არაფრისგან გავიდა — თემურ გადელია საჯარიმოში დაბალი პასის გაკეთებას აპირებდა, მაგრამ თორნიკე ელიზბარაშვილმა ბურთი ჩაჭრა და... 0:1. ეს 42-ე წუთზე მოხდა.

მეორე ტაიმში „სპარტაკი“ უფრო გააქტიურდა, ჰქონდა კიდეც გათანაბრების შანსი, თუმც ვასილ ლუჭაშვილმა ზედიზედ ორჯერ არაზუსტად დაარტყა.

სხვა საინტერესო არც არაფერი მომხდარა.

### პრესკონფერენცია

*გოჩა ცორცოლიანი:* ვფიქრობ, საინტერესო თამაში იყო. უპირატესობას არც ერთი გუნდი არ ფლობდა და ალბათ ფრე უფრო ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მოვიგეთ. ფიზიკურ მომზადებაში ძალიან მოვიკოჭლებით, თუმცა იმედი მაქვს, ნელ-ნელა მოვუმატებთ.

*გიგლა იმნაძე:* ვულოცავ მეტოქეს მოგებას. კიდევ ერთხელ იჩინა თავი ჩვენმა გამოუცდელობამ, ისევ ვერ გამოვიყენეთ მომენტები. უკვე მეოთხე თამაშია, მომენტები გვაქვს და გოლი ველარ გაგვაქვს, სოხუმელებს კი ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავთ და ამით გვაჯობეს.



სოხუმელმა შოთა ჩომახიძემ (მარჯვნივ) თბილისელებს ყველაზე მეტი პრობლემა შეუქმნა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 4 ტური



# რა საჭიროა თავდამსხმელი?

მცხეთა. 28 აგვისტო. 17 საათი. არმაზი. 400 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 2:1 თბილისი

0:1 თოფურია (36), 1:1 ბ. დათუნაიშვილი (71), 2:1 ფეიქრიშვილი (90)

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, თ. კობიაშვილი, დ. ლომაია, ქუხილავა, პ. დათუნაიშვილი, რაზმაძე (კვილჯაიანი 69), დილმელაშვილი, ბ. დათუნაიშვილი, იმედაშვილი, სახოკია (ფეიქრიშვილი 55), ვ. კობახიძე (ლ. მანწკავა 64)
*სათადარიგონი:* მუჯირიშვილი; აბშილავა, ლ. კვარაცხელია, გ. მელქაძე
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**თბილისი:** სომხიშვილი, ბერიძე, ხოხონიშვილი, თ. ბარამიძე (გოგობია 75), ბოქოიძე, გ. კვარაცხელია (ლოლაძე 84), ხაჭიპერაძე, მიმინოშვილი, კვასხვაძე (გოგა ფიფია 69), თოფურია, ი. მოდებაძე
*სათადარიგონი:* მ. ალავიძე, გ. ქორიძე, დარსაძე, ლიპარტია
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**გაფრთხილება:** ხაჭიპერაძე (26), კობახიძე (29), ბოქოიძე (62), ბ. დათუნაიშვილი (90), ბერიძე (90)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ი. აფციაური (დუშეთი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); გ. ვადაჭკორია (თბილისი)

**ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

**ილია ნანობაშვილი** მცხეთიდან

**ბევრჯერ** ან საერთოდ თუ გინახავთ, გუნდი 0:1 აგებდეს, მწვრთნელს ორივე თავდამსხმელის ნაცვლად ნახევარმცველები შეეყვანოს და მოეგოს?

უცნაური ამბავია, მაგრამ გაამართლა ფოკუსმა და რაღაა სალაპარაკო — მით უმეტეს, გამარჯვების გოლი სწორედ შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა გაიტანა. ამ ფოკუსების ავტორი კი „ვიტ ჯორჯიას" თავკაცი ნესტორ მუმლაძე გახლდათ, რომელმაც ნამატჩევს თქვა, კობახიძეც და სახოკიაც უნიათო თამაშის გამო გამოვცვალეო.

მოსკოვის „ლოკომოტივში" გასასინჯად მყოფ ოთარ მარცვალაძის არყოფნაში ვიტელთა შეტევებს თავიდანვე აკლდა ცეცხლი. მარცვალაძის ნაცვალი ზაზა სახოკია ხშირად კარგავდა ბურთს და ჩვეული გარღვევებიც ვერ გამოსდიოდა.

პირველი ტაიმი ბრძოლაში გაილია, მეტოქეები გოჯს არ უთმობდნენ ერთმანეთს, არც წვივებს უფრთხილდებოდნენ და ექიმებსაც ხშირად უწევდათ მინდორზე შერბენა.

პირველი ჩხვლეტა მასპინძლებისა იყო და ვლადიმერ კობახიძეს თავური ცოტა ლაზათიანად რომ დაერტყა, ანგარიშს გახსნიდა, ისე კი, „თბილისის" მეკარე გოგიტა სომხიშვილმა ივარგა.

რაღაცნაირად შებოჭილი და დახუთული ბურთაობა იყო, გოლის სუნი არ იგრძნობოდა, მაგრამ 36-ე წუთზე „ვიტ ჯორჯიას" დაცვას ჩაეძინა და ილია მოდებაძის პასით „თბილისის" ფორვარდი მიხეილ თოფურია გრიგოლ ბედიაშვილს ერთი-ერთზე შეეყარა, მოატყუა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი — ასე გამოცხვა „თბილისის" პირველი საამსეზონო გოლი.

გიორგი დევდარიანის ბიჭები ნაატრაქტევსაც მაგრად იდგნენ, უპირატესობა ნელ-ნელა ხელიდან კი ეცლებოდათ, მაგრამ ვიტელებისთვის საჯარიმოს ატალახების საშუალება არ მიუციათ. მასპინძელთაგან ისევ სახოკიასა და კობახიძეს შეეძლოთ გატანა, მაგრამ მუმლაძის მატჩისშემდგომი ნათქვამი ხომ უკვე იცით...

მალე კი „თბილისის" ვახტანგ კვარაცხელიას ინტრიგის მოსპობა შეეძლო, პირისპირ გავიდა ბედიაშვილთან, მაგრამ მეკარემ ხელით ააცალა ბურთი და...

აქედან „ვიტ ჯორჯიამ" მეორე სიჩქარე ჩართო, მთლად უფორვარდოდ ხომ არ ითამაშებდნენ და, მუმლაძემ ლაშა მანწკავა გადაისროლა წინა ხაზზე, დავით იმედაშვილი მარცხენა გარემარბად აწია, ხოლო გიორგი ფეიქრიშვილს მარჯვენა ფლანგზე ნავარდი დაავალა.

და გოლიც: ვიტელთა ნაკუთხურალს ყველა ასცდა, საჯარიმოსთან მდგომმა პავლე დათუნაიშვილმა კი შორეულ კუთხეში გამთანაბრებელი დააქუხა — 1:1. ეს 71-ე წუთზე მოხდა.

სამ მატჩში ქულამოუხვეჭელი „თბილისი" ფრეზე უარს რატომ იტყოდა, მაგრამ „ვიტ ჯორჯია" უკვე მოგებაზე იყო ალესილი და ბოლო წუთებზე მაგრად მიაწვა სტუმრებს. ისე, მასპინძლებს ასპროცენტიანი შანსი არ მისცემიათ და ქულაც რომ აეღოთ, თავში ხელწასაშენი არაფერი ექნებოდათ, მაგრამ...

მსაჯის დამატებულ წუთებზე ფეიქრიშვილმა 20-25 მეტრიდან აუღებელი დაარტყა; ლამაზი გოლი და ციდან ჩამოვარდნილი სამი ქულა...

### პრესკონფერენცია

*გიორგი დევდარიანი:* დაძაბული თამაში იყო და შედეგიც ლოგიკურია. „ვიტ ჯორჯია" გამოცდილი გუნდია, ჩემი ფეხბურთელები კი პირველად გამოდიან უმაღლეს ლიგაში. კვარაცხელიას მეორე გოლიც რომ გაეტანა, სხვანაირად წარიმართებოდა თამაში, მაგრამ... ერთი თვე საკმარისი არაა იმისთვის, რომ ამ ახალგაზრდებისგან მონოლითური გუნდი გავაკეთო. საამისოდ ხანგრძლივი დრო დაგვჭირდება, ჯერ „დინამოსთან" და „ვიტ ჯორჯიასთან" მოგება არ შეგვეძლია.

*ნესტორ მუმლაძე:* საინტერესო თამაში ვნახეთ. პირველ ტაიმში კარგად ვერ გავისარჯეთ, მაგრამ საჭირო მოგება ჩავიწერეთ. „თბილისში" კი ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, ძალიან კარგი მწვრთნელიც ჰყავთ და ეტყობათ, მოუმატებენ.

# იმერლებმა ქართლელებს ორი პაშლი შეუჭამეს

გორი. 27 აგვისტო. 17 საათი. ქართლი. 150 (ტევადობა 1 000)

## ცხინვალი 0:2 ზესტაფონი

0:1 ლონლაძე (56), 0:2 იმედაძე (80)

**ცხინვალი:** სოლოლაშვილი; ქობესაშვილი, დ. მაისურაძე, ლომიძე, ეჯოშვილი, გ. მაისურაძე, მოსიაშვილი, გამცემლიძე, დ. ხანიშვილი, ბაკარანძე, ბ. ჩიტაია (გ. კაიდარაშვილი 73)
*სათადარიგონი:* ქქანაშვილი; ლ. თურმანიძე, ბოლოთაშვილი, ხონიაშვილი, აბრამიშვილი, დავარაშვილი
**მწვრთნელი:** ივანე თაყაძე

**ზესტაფონი:** ქვაჩახია, ძამსაშვილი, შ. ლონლაძე, ხიდეშელი, კ. ჩხეტიანი, რ. კვერნაძე (ბესარაშვილი 60), ბ. ნოზაძე, განუგრავა, გოცირიძე (სულაკაძე 46), გოგი ფიფია (ნუდნი 82), იმედაძე
*სათადარიგონი:* ბზიკაძე; იონანიძე, ფეზუაშვილი, გ. თურმანიძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** ძამსაშვილი (33), კვერნაძე (45), დ. მაისურაძე (45), ხანიშვილი (77), ბ. ჩიტაია (73)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ლ. სილაგავა (თბილისი)

**ინსპექტორი:** ხ. კოტრიკაძე

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**„ქართლზე"** მოსული მაყურებელი საინტერესო მატჩის მოწმე გახდა — გუნდებმა თავიდანვე სწრაფად ათამაშდნენ და ორთაბრძოლებიც ხშირი იყო.

საწყისი ათი-თორმეტი წუთი თამაში საჯარიმოდან საჯარიმომდე იყო. მხოლოდ მე-13 წუთზე მოახერხა ბექა ჩიტაიამ სტუმართა კარში დარტყმა, მალე კი გიორგი განუგრავა შეეცადა „ცხინვალის" კარის დალაშქვრას — დაახლოებით 30 მეტრიდან ძლიერად, მაგრამ ოდნავ არაზუსტად დაარტყა.

ტაიმის ბოლოს მასპინძლებს დაღლა დაეტყოთ და სტუმართა უპირატესობაც გამოიკვეთა, მაგრამ ამან ხეირი ვერ მოუტანა მათ.

შეხვედრის მეორე ნახევარი უფრო საინტერესო გამოდგა და ზესტაფონელთა სრული უპირატესობით წარიმართა. შედეგმაც არ დააყოვნა — 56-ე წუთზე „ზესტაფონმა" კუთხური გაითამაშა, კახა ჩხეტიანმა ჩააწოდა „ცხინვალის" საჯარიმოში, მცველებმა ვერ შეძლეს მაღალი ბურთის მოგერიება და შეტევაში ჩართულმა შალვა ლონლაძემ ახლოდან თავით ზუსტად დაარტყა — 0:1.

მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრება 71-ე წუთზე შეეძლოთ — კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი „ცხინვალის" თავდამსხმელებმა სტუმართა საჯარიმოში თავით რამდენჯერმე გაითამაშეს, ბოლოს კი ბურთი გიორგი ლომიძეს მიუვიდა, რომელმაც დაახლოებით ოთხიოდ მეტრიდან კარს ზემოდან გადააცილა.

მატჩის საბოლოო ანგარიში მე-80-ე წუთზე დაფიქსირდა, როდესაც სტუმართა მორიგი შეტევისას განუგრავამ ზუსტად მიაწოდა საჯარიმოში შეჭრილ იმედაძეს და მანაც რამაზ სოლოლაშვილს ახლო კუთხეში გაუტანა — 0:2.

ბოლო წუთზე მასპინძლებს ისევ მიეცათ ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა, მაგრამ დავით ხანიშვილის დარტყმული ძელს მოხვდა.

და ერთიც: მატჩს დაესწრნენ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, გენერალური მდივანი გრიგოლ ცაავა და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გაიოზ დარსაძე.



გრიგოლ იმედაძე

### პრესკონფერენცია

*თემურ მახარაძე:* რთული თამაში გამოვიდა. სამ ქულას ვცდემდით და კმაყოფილიც ვარ. „ცხინვალი" კი კარგი გუნდია.

*ივანე თაყაძე:* ვულოცავ „ზესტაფონს". ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ შევეცდებით, ხარვეზები გამოვასწოროთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ბორჯომი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| ზესტაფონი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:2 | 9 |
| ლოკომოტივი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ბათუმი | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| ამერი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| ცხინვალი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| დილა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| კოლხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 2:3 | 6 |
| სოხუმი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| კახეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| სპარტაკი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:3 | 1 |
| ტორპედო | 4 | 0 | 1 | 3 | 0:4 | 1 |
| თბილისი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:6 | 0 |

# სიჩუმე დიდუბეში იქნება

## საქართველო — უკრაინა: ეროვნულ-ახალგაზრდულთა სტადიონები შეიცვალა



ალექსანდრ ბანდურკო

საქართველო-უკრაინის ეროვნული ნაკრებები 3 სექტემბერს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის ნაცვლად „ეროვნულზე" ითამაშებენ, ვაკეში კი ახალგაზრდულები იბურთავებენ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ასეთი „როქი" შესთავაზა უკრაინულ მხარეს და დადებითი პასუხიც მიიღო. როგორც იცით, ეროვნული ნაკრებების მატჩი უმაყურებლოდ ჩაივლის და შესაძლოა, სტადიონების შეცვლა უსაფრთხოების გამოც მოხდა — „ეროვნულზე" შედარებით იოლია წესრიგის დაცვა.

აქვე, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრ ბანდურკოს ნაუბარსაც გთავაზობთ:

„თბილისში წასასვლელად დღესდღეობით 35-კაციანი ოფიციალური დელეგაციაა მზად, ამას დავუმატოთ 50-მდე აკრედიტებული ჟურნალისტი. ამ საკითხში უეფას მკაცრი წესები აქვს, მაგრამ ჩვენ მათთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ, რათა კვოტები გავზარდოთ. საქართველოში ფედერაციის აღმასკომისა და კომიტეტების წევრების, ასევე სპონსორების წაყვანა გვსურს. ქართული მხარე კი ამის წინააღმდეგი არაა.

...ნოდარ ახალკაცი დამიკავშირდა და სტადიონების გაცვლაზე შევთანხმდით. ჩვენ ეს ხელს გვაძლევდა, რადგან „მიხეილ მესხის" სტადიონის მინდორი არცთუ შესაშურია. ჩვენი დელეგაცია სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე მოთავსდება. გარდა ამისა, ემოციები მაქსიმალურად უნდა მოვთოკოთ, ანუ ყვირილი და ხმამაღალი შეძახილები არ შეიძლება — ამაზე ჩვენც და საქართველოს მხარეც მკაცრად ვართ გაფრთხილებულნი".

შეგახსენებთ, რომ საქართველო — უკრაინის ახალგაზრდულები 2 სექტემბერს ჩვენი დროით 19 საათზე ითამაშებენ, ეროვნული ნაკრებების მატჩი კი 3 სექტემბერს, 20 საათსა და 15 წუთზე დაიწყება.

**ილია ნანოგაშვილი**

# არველაძის ალკმაარულები



32 წლის შოთა არველაძემ ალკმაარული სეზონი შთამბეჭდავად დაიწყო, გაიოზ დარსაძემ კი მას ეროვნული ნაკრების კარი მიუხურა — ამ თემას, ალბათ, გაგრძელება მოჰყვება და თუ როგორი, ნაკრების და არველაძის თამაშითაც გაიშიფრება. მანამდე კი ალკმაარულ ამბებზე გვესაუბრა თავად შოთა არველაძე, ვინც ჰოლანდიის ერედივიზიონის ბომბარდირებში დაწინაურდა...

— „ვიტესთან" ორი გოლი გავიტანე და კენეტ პერესს ორი საგოლე პასი მივეცი — სულ სამ ალკმაარულ თამაშში ოთხი გოლი და ამდენივე საგოლე გადაცემა დამიგროვდა.

— ასაკის მატებასთან ერთად ჯანი კიდევ თუ შემრჩა? ამ კითხვას ასე ვპასუხობ: როცა კიდევ გინდა თამაში, ჯანს ყოველთვის იპოვი, მთავარია, ტრავმები არ იყოს.

— „ალკმაარის" ხელმძღვანელობას რაიმე კონკრეტული მიზანი არ დაუსახავს. უბრალოდ, უნდათ, რომ გუნდს კარგი სეზონი ჰქონდეს. გაისად „ალკმაარს" ახალი, ძალიან თანამედროვე სტადიონიც ექნება.

— ჩვენ ახლა ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ვთამაშობთ — ცენტრში მე ვარ, ფლანგებიდან კი გარემარბები მეხმარებიან — ეს ლუის ვან გაალის აიაქსური სისტემაა.

**დავით თამართქილაძე**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ასკოლი 1:1 | 86 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 1 | 0 | 10 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | გლადბახი 1:1 | 90 | საგოლე პასი | 3 | 0 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | შ | ლევერკუზენი 2:1 | 90 | | 3 | 0 | 7 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | აუე 2:0 | 90 | საგოლე პასი | 3 | 0 | 7 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | აუე 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 7 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | შ | ობერჰაუზენი 3:1 | 90 | | 5 | 1 | 4 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | ს | კარლსრუე 2:2 | 0 | | 3 | 2 | 11 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | ჰიბერნიანი 0:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 5 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | ვიტესი 5:0 | 90 | 2 გოლი, 2 საგოლე პასი | 3 | 4 | 1 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | უტრეხტი 3:1 | 34 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთ. | 3 | 0 | 11 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | მატერსბურგი 1:1 | 86 | 1 გოლი, გააფრთ., შეცვალეს | 6 | 4 | 8 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | ამკარი 4:3 | 90 | გააფრთხილეს | 22 | 1 | 1 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | ს | ამკარი 4:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 1 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | ს | ამკარი 4:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| მათე ლვინიანიძე | ლოკომოტივი | ს | ამკარი 4:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | როსტოვი | შ | რუბინი 0:1 | 76 | შეცვალეს | 7 | 1 | 16 |
| გოჩა ხოჯავა | როსტოვი | შ | რუბინი 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 1 | 0 | 16 |
| ბექა ყლენტი | ტორპედო | შ | ცსკა 0:2 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | სპარტაკი 1:5 | 90 | | 17 | 1 | 14 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | სპარტაკი 1:5 | 0 | სათადარიგო | 6 | 0 | 14 |
| ლადო ბურდული | ალანია | ს | სპარტაკი 1:5 | 90 | | 13 | 0 | 14 |
| დავით კვირკველია | ალანია | ს | სპარტაკი 1:5 | 24 | გააძევეს | 13 | 0 | 14 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | ს | სპარტაკი 1:5 | 33 | შეცვალეს | 10 | 0 | 14 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | ს | სპარტაკი 1:5 | 0 | განაცხადში არ იყო | 7 | 0 | 14 |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | ს | სპარტაკი 1:5 | 72 | შეცვალეს | 4 | 2 | 14 |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | ს | როსტოვი 1:0 | 90 | საგოლე პასი | 1 | 0 | 5 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | როსტოვი 1:0 | 90 | | 16 | 0 | 5 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | ს | როსტოვი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | ს | სარატოვი 1:1 | 0 | | 12 | 0 | 5 |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი | ს | სარატოვი 1:1 | 0 | | 5 | 0 | 5 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | ს | სოკოლი 2:1 | 0 | | 14 | 0 | 2 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | ყუბანი 0:0 | 90 | | 24 | 1 | 8 |
| მამუკა ლომიძე | ჩკალოვეცი | ს | ურალი 0:2 | 0 | | 11 | 0 | 12 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | ს | ჩელიაბინსკი 0:1 | 90 | | 25 | 3 | 19 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | | ტური გამოტოვა | | | 26 | 2 | 18 |
| დავით ხმელიძე | ჩელიაბინსკი | შ | მ. კუზბასი 1:0 | 0 | | 8 | 0 | 9 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | შახტარი 1:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| არჩილ ბაჯელიძე | მ. ზაპოროჟიე | ს | შახტარი 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | ჩერნომორეცი 2:5 | 90 | | 7 | 4 | 5 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | სტალი 2:1 | 90 | 1 გოლი | 7 | 3 | 8 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | ს | კრივბასი 1:2 | 90 | გააფრთხილეს | 7 | 0 | 14 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | პაოკ 1:0 | 90 | | 1 | 0 | 4 |
| ამირან მუჯირი | კალითეა | შ | ეგალეო 1:1 | 90 | | 1 | 0 | 6 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | შ | შაფჰაუზენი 5:0 | 5 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 4 | 1 | 2 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | აშნა | შ | აეკ 2:1 | 53 | 1 გოლი, შეცვალეს | 1 | 1 | 5 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | დინაბურგი 1:1 | 0 | | 14 | 0 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | დინაბურგი 1:1 | 90 | | 15 | 1 | 2 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | შ | დინაბურგი 1:1 | 90 | | 18 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | დინაბურგი 1:1 | 0 | | 6 | 0 | 2 |
| ალეკო რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | ს | ვენტა 6:0 | 90 | | 16 | 2 | 3 |
| გოგა მოდებაძე | ვენტსპილსი | ს | ვენტა 6:0 | 0 | | 6 | 1 | 3 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | ს | ალმათი 0:2 | 45 | შეცვალეს | 17 | 5 | 8 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | ს | ორდაბასი 1:2 | 0 | სათადარიგო | 14 | 0 | 11 |
| დავით ჭიჭველიშვილი | ატირაუ | შ | კაირატი 2:2 | 90 | | 5 | 0 | 9 |
| ლევან სანიკიძე | ტობოლი | ს | შახტიორი 0:2 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 2 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## გერმანია

### ბუნდესლიგა. III ტური

**ბაიერნი 3:0 ჰერტა**

1:0 ბალაკი (47), 2:0 შოლი (85), 3:0 მაკაი (87)
ბაიერნი: კანი, ლუსიო, სანიოლი, ისმაელი, ლიზარაზუ (იერემისი 51), ჰარგრივსი, ქარიმი (დაისლერი 61), ზე რობერტო (შოლი 81), ბალაკი, მაკაი, პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ჰერტა: ტრემელი, ვან ბურიკი, მადლუნგი, ა. ფრიდრიხი, სიმუნიჩი, ნ. კოვაჩი (ოკორონკო 56), ტ. მარქსი (ბოატენგი 68, სამბა 70), ნოიენდორფი, ბაშტურქი, მარსელინიო, რაფაელი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: ტ. მარქსი, სიმუნიჩი, ნოიენდორფი, მადლუნგი, რაფაელი
მსაჯი: კინჰოფერი
66 000 მაყურებელი

**ვერდერი 1:1 შტუტგარტი**

1:0 კლასნიჩი (41), 1:1 ტომასონი (50)
ვერდერი: რაინკე, ლ. ანდრეასენი, ნალდო, ბაუმანი (ჰუნტი 79), კ. შულცი (ვან დამი 78), ოვემაიოლა, ფრინგსი, ბოროვსკი, დ. იენსენი, კლასნიჩი, კლოზე (ვალდესი 78)
მწვრთნელი: თომას შააფი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, შტრანცლი (ჰინკელი 64), ბაბელი, ფ. მეირა, სოლდო, მაისნერი, ჰიცლშპერგერი (გომესი 46), ტიფერტი, გრონკიაერი, ტომასონი (გენტნერი 79)
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
გაფრთხილება: ანდრეასენი, ნალდო, ჰილდებრანდი, გრონკიაერი
მსაჯი: ფანდელი
'38 440 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 2:1 ლევერკუზენი**

0:1 ბერბატოვი (22), 1:1 დალესანდრო (39), 2:1 ტიამი (54)
ვოლფსბურგი: იენჩი, კიროგა, ჰოფლანდი, სარპეი (შნორი 79), ალექსი (ფიშერი 71), ტიამი, ცქიტიშვილი, კარჰანი, დალესანდრო, მენსეგეში, ჰანკე (მარლე 83)
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
ლევერკუზენი: ბუტი, კასტრო (ფრიცი 81), ჟუანი, როკე ჟუნიორი, ატირსონი, რამელოვი, ფრაიერი (ბარნეტა 63), ბაბიჩი, ბ. შნაიდერი, ვორონინი (ლაზოვიჩი 70), ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტელერი
გაფრთხილება: დალესანდრო, ჰოფლანდი, ჰანკე, ფიშერი, ფრაიერი
მსაჯი: შიპელი
18 201 მაყურებელი

**შალკე 1:1 გლადბახი**

0:1 ბოგელუნდი (41), 1:1 სანდი (54)
შალკე: როსტი, ჰამიტ ანტილტოპი (რაფინა 81), ბორდონი, კრსტაიჩი, კობიაშვილი, პაულსენი, ერნსტი, ბაირამოვიჩი (ასამოა 64), ვალერა (ლარსენი 81), სანდი, კურანი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გლადბახი: კელერი, ჰელვეგი, ზე ანტონიო, შტრასერი, დამსი, ელ ფაკირი (ფუკალი 83), უდე კამპუისი, ბოგელუნდი, იანსენი, ჰაინსი (სვერკოში 65), ნოივილი (კასტრატი 89)
მწვრთნელი: ჰორსტ კიოპელი
გაფრთხილება: ერნსტი, დამსი, უდე კამპიუსი, შტრასერი
მსაჯი: ვაინერი
61 524 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:1 ჰანოვერი**

0:1 შტაინერი (18), 1:1 მაჰდავიკია (22)
ჰამბურგი: ვეხტერი, დემელი, ვან ბუიტენი, ბულარუზი, ატუბა, ვიკი, მაჰდავიკია, იაროლიმი, ვან დერ ვაარტი (ტროხოვსკი 76), ბარბარესი, ლაუტი (ტაკაჰარა 55)
მწვრთნელი: თომას დოლი

# შევარდნა



ბაიერნი — ჰერტა 3:0. მიუნხენელები მორიგ გამარჯვებას ზეიმობენ

ჰანოვერი: ენკე, ბალიჩი, მერტესაკერი, ჟურავი, ტარნატი, ლალა, დაბროვსკი იანოვი, შტაინერი, ბრდარიჩი, აშემიანი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: იაროლიმი, იანკოვი, ბალიჩი, დაბროვსკი, ტარნატი
მსაჯი: შტარკი
48 866 მაყურებელი

**აინტრახტი 1:0 ნიურნბერგი**

1:0 ჯონსი (68)
აინტრახტი: ნიკოლოვი, რემერი, ოხსი, ვასოსკი, სპიხერი, ჰუგელი, ჯონსი (კრისი 81), დუ რი ჩა (ლეხა 90), მეიერი, კოლერი, ამანატიდისი (ვან ლენტი 88)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ნიურნბერგი: შეფერი, კანტალუპი, ნიკლი, ლენსი (ვაგეფილდი 67), პინოლა (ბანოვიჩი 74), ს. მიულერი, პოლაკი, საინკო (კესლინგი 53), მინტალი, მ. მიულერი, ვიტეკი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ოხსი, ჰუგელი, საენკო, პინოლა
მსაჯი: გრეფე
40 000 მაყურებელი

**დუისბურგი 1:1 დორტმუნდი**

0:1 რიკენი (61), 1:1 კურტი (80)
დუისბურგი: კოხი (ბუკერტი 65), მიორლე, ვოლტერსი, ბაელუმი, ა. მეიერი, ჰაუსვაილერი, გრლიჩი, ბუგერა (რიტპჩი 72), აჰანფუფი, კურტი, ლავრიჩი (ვან ჰუდტი 67)
მწვრთნელი: ნორბერტ მეიერი
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ვიორნსი, დეგენი, მეცელდერი, დედე, კელი, როსიცკი, კრინგე (კრუსკა 87), რიკემი (ოდონკორი 83), სმოლარეკი (ვან დერ განი 62), კოლერი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაფრთხილება: ჰაუსვაილერი, ვაიდენფელერი, კელი, კრუსკა
მსაჯი: მერკი
31 502 მაყურებელი

**არმინია 2:0 მაინცი**

1:0, 2:0 კრუპნიკოვიჩი (23, 39)
არმინია: ჰაინი, ბესტერმანი, ბორგესი, რაუ, კორჟინეცი, ფინკი, პორჩელო (დალოვიჩი 78), ზუმა (პინტო 88), კრუპნიკოვიჩი, ვატა, ბოაკე (მულერი 65)
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
მაინცი: ვახე, მ. ფრიდრიხი, აბელი (დემირტასი 46), ნოვესკი, როსე (ადო 79), ფ. გერბერი, ბაბაცი (გეისლერი 46), და სილვა, ტურკი, აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: ფინკი, რაუ, აბელი, როსე, ტურკი
მსაჯი: მეიერი
18 323 მაყურებელი

**კიოლნი 2:3 ლაუტერნი**

0:1, 0:2 ჰალილ ანტილტოპი (19, 79), 1:2 შერცი (81), 2:2 პოდოლსკი (90), 2:3 სკელა (90)
კიოლნი: ვესელსი, ლელი (შერცი 76), სინკიევიჩი, მატიპი (ლურლინგი 46), სპრინგერი, გრამოსისი (მოხტარი 64), გიე-მიენი, ა. შტრაიტი, ფულნერი, პოდოლსკი, პ. მადსენი
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
ლაუტერნი: მალხიოტი, ლემბი, პლეჩი (ზანდი 85), მეტომო, ბლანკი, სფორცა, ენგელჰარდტი, ჰალილ ალტინტოპი, სკელა, ზალცი (ტ. როიტერი 64), სანბო (ჰერჩი 75)
მწვრთნელი: მიხაელ ჰენკე
გაფრთხილება: მატიპი, სპრინგერი, გრამოსისი, მეტომო, მახო, ზაიცი
მსაჯი: ფლაშერი
50 000 მაყურებელი

„ჭადრაკი ხომ არაა, ფეხბურთს ვთამაშობთ“ — თქვა „ბაიერის“ გაბრაზებულმა დირექტორმა რუდი ფიოლერმა „ვოლფსბურგთან“ მარცხის შემდეგ, რომელიც ნამატჩევს მოედანზე შეენთო და მსაჯი პეტერ ზიპელი გალანძღა. შეხვედრის ბოლო თხუთმეტ წუთში მსაჯმა ლევერკუზენელებს როკე ჟუნიორი და მარკო ბაბიჩი გაუძევა — ორივე ანდრეს დალესანდროსთან უხეშობისთვის. ფიოლერის აზრით კი დალესანდრომ ზიპელს ორჯერვე „აჭამა“, ანუ წაიმსახიობა და მთავარი არბიტრი ბალღივით გააცურა.

„ვოლფსბურგმა“ მოიგო მატჩი, რომელშიც თავიდან აგებდა. დიმიტარ ბებრატოვმა მცველების შეცდომით იხეირა და ანგარიში გახსნა, ხოლო დალესანდრომ თავურით შესვენებამდე გაათანაბრა. მეორე ტაიმში პაბლო ტიამმა „მგლები“ დააწინაურა და კაცნაკლულმა „ბაიერმა“ გათანაბრება ვეღარ შეძლო.

„შალკეს“ მწვრთნელი რალფ რანგნიკიც მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა, დამატებული სამი წუთიდან მხოლოდ ერთი გვათამაშეს, თამაში ნაადრევად დაასრულესო. მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ კასპერ ბოგელუნდის გოლით „ხუმარებს“ პირველი ტაიმი მოუგო, მაგრამ მეორეში ებე სანდმა ლევან კობიაშვილის პასით გაათანაბრა. კობიაშვილმა მოგვიანებით თავად შეძლო გატანა, სტუმართა მეკარე კეისი კელერს კი გვარიანად გაწელვა დასჭირდა ბურთის მოსაგერიებლად.

საუცხოო ფორმაშია „კაიზერსლაუტერნის“ ლიდერი ჰალილ ალტინტოპი, რომელმაც კიოლნში დუბლი მიითვალა, ხოლო „ლაუტერნმა“ ბოლო წუთზე გატანილი პენალტით მოიგო. სტუმრები თურქმა ლეგიონერმა პირველ ნახევარში დააწინაურა, „თხები“ კი მსაჯს მისცივდნენ თამაშგარე იყო, არ უნდა ჩაგეთვალაო. ალტინტოპმა მეორე თავური დარტყმით შეაგდო, მაგრამ კიოლნი“ რქებით მიაწვა მეტოქეს და ცხრაწუთიან მონაკვეთში ორბურთიანი ჩამორჩენა გაახთილა. მასპინძლები ქულის გამოგლეჯას ხარობდნენ, თუმც არ დასცალდათ — დამატებულ წუთებში შპრინგერმა ზანდი საპენალტოდ წააქცია, რომელიც ერვინ სკელამ გამოიყენა.

„ჰერტას“ მეკარე გერჰარდ ტრემელმა „ბაიერნთან“ პირველ ტაიმში აქეთ-იქით იხტუნავა და გოლი არ გაუშვა, მაგრამ შემდეგ მ[illegible]ლისგან ასხლეტილ ბურთს [illegible] მისწვდა. მიხაელ ბალაკმა საჯარიმო დარტყმა შეასრულა, ბურთი არნე ფრიდრიხს შეეხო და გეზნაცვალი შევარდა ტრემელის კარში.

თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე მაგათმა მეჰმეთ შოლი შეუშვა მოედანზე და მანაც თავით მეორე გაიტანა. ბოლოს კი „ბაიერნის“ მთავარმეგოლე მაკაის ჯერიც დადგა, რომელმაც ანგარიშში სხვაობა სამამდე გაზარდა და უფრო სოლიდური გახადა.

ჯოვანი ტრაპატონის „შტუტგარტმა“ ბრემენიდან ქულა წაიღო და იტალიელი მწვრთნელი ფანთა რისხვას გადაურჩა. ივან კლასნიჩმა ტიმო ჰილდებრანდს ბურთი თავზე გადაავლო და ბადეში ჩაუშვა — 1:0, მაგრამ იონ დალ ტომასონმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაათანაბრა. დანიელმა ფორვარდმა პირველი ბუნდესლიგური გოლი მოითვალა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:2 | 9 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 3 |
| 2 ვერდერი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 5 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 3 ჰამბურგი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 4 შალკე | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 5 ლაუტერნი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:7 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:3 | 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 |
| 6 კიოლნი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 7 ვოლფსბურგი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 8 ჰერტა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 |
| 9 ჰანოვერი | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 10 ლევერკუზენი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:8 | -1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:5 | -3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 3 |
| 13 ვილიარეალი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 14 კადისი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 15 ბეტისი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 16 რასინგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 17 მალიორკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 18 მალაგა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 19 ესპანიოლი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 20 სოსიედადი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |

### სეგუნდადივიზიონი

**I ტური**

**ლევანტე 2:0 პოლიეხიდო**
1:0 კურტასი (14), 2:0 რეგი (77)

**ხერესი 2:1 რეალი B**
1:0 რაოსი (13პ), 1:1 სოლდადო (33), 2:1 პენდინი (82)

**ხიხონი 2:0 ალბასეტე**
1:0, 2:0 ალვარესი (9, 27)

**ტენერიფე 3:1 ხიმნასტიკი**
0:1 აბელი (8), 1:1 მორალი (13), 2:1 მაიკელი (22), 3:1 ალვარესი (45)

**სიუდადი 3:1 უელვა**
0:1 გალვანი (13), 1:1, 2:1 ლუკე (16პ, 35), 3:1 კორდობა (82)

**ლორკა 1:1 ფეროლი**
0:1 კარლოსი (52), 1:1 პერონა (80)

**ეიბარი 1:2 ელჩე**
0:1 ალფრედო (44), 0:2 მარტინი (56), 1:2 მაირატა (81)

**ჰერკულესი 1:1 მალაგა B**
1:0 ლუპიდიო (26), 1:1 ვიგილი (43)

**ლეიდა 1:0 კასტელონი**
1:0 ნაკორი (28)

**ნუმანსია 3:0 ალმერია**
1:0 ნავასი (27), 2:0 ტევენეტი (35), 3:0 მორენო (61)

# ხელბურთი პერმში

## რუსეთი

რუსეთი

პრემიერლიგა. XXI ტური

**სპარტაკი 5:1 ალანია**

1:0 კოვაჩი (12), 2:0 კოვალჩუკი (20), 3:0 ბისტროვი (45), 4:0 კოვაჩი (51), 4:1 ბაზაევი (56პ), 5:1 კავენაგი (73)

**მოსკვა 2:1 დინამო**

1:0, 2:0 კირიჩენკო (32პ, 38), 2:1 რიბეირუ (58)

**როსტოვი 0:1 რუბინი**

0:1 ასტაფიევსი (77)

**სატურნი 3:2 ტერეკი**

0:1 ადამოვი (17), 1:1 პარკსი (29), 1:2 ადამოვი (52პ), 2:2 ბარეირო (72პ), 3:2 იოლოვიჩი (86)

**შინიკი 0:0 ტომი**

**ამკარი 3:4 ლოკომოტივი**

1:0 კუშევი (19), 2:0 ლეოჩენკო (43პ), 3:0 კუშევი (45), 3:1, 3:2 ბილიალეტდინოვი (52პ, 58პ), 3:3 იზმაილოვი (75), 3:4 ლებედენკო (90)

გაძევება: ვოლკოვი (76, ამკარი)

**ზენიტი 4:1 კრილია**

1:0 ანიუკოვი (9), 2:0 დენისოვი (31), 3:0 სპივაკი (57პ), 3:1 ბაბა ადამუ (72პ), 4:1 შუმულიკოსკი (89)

**მოსკოვის „ლოკომოტივი“** ნაწილობრივ მსაჯს უნდა უმადლოდეს, რომ „ამკართან“ დრამატულ მატჩში მოიგო.

პერმელებმა პირველ ტაიმში აშკარად დაჩაგრეს მეტოქე და მოსკოველებს გასახდელში 3:0 გაატანეს. მასპინძლებმა მეორე გოლი პენალტით გაიტანეს, რომელიც კობენკოს წაქცევისთვის დაინიშნა. „ლოკოს“ მეკარე ოვჩინიკოვი გაბრაზდა და მთავარ არბიტრს აგინა, რისთვისაც ყვითელი ბარათი მიიღო.

შესვენების შემდეგ მსაჯი „გამოსწორდა“ და ოვჩინიკოვისგან დაშინებულმა, სტუმართა სასარგებლოდ ორი საეჭვო პენალტი „დადო“, ორივე ხელით თამაშისთვის. დინიარ ბილიალეტდინოვმა ორივეჯერ იხეირა და მოფერიანებული „ლოკომოტივი“ „ამკარის“ საჯარიმოს მიაწყდა. ტრავმამოშუშებული მარატ იზმაილოვი შეცვლაზე შევიდა და სამ წუთში გოლიც გაიტანა. პერმელი მეკარე ლევენეცი გამოსვლაზე შეცდა, იზმაილოვმა კი თხუთმეტიოდ მეტრიდან ბურთი ცხრიანში შესვა. მერე მსაჯმა ამკარელი ვოლკოვი გააძევა და კაცნაკლულ მასპინძლებს მეტოქის შეტევების მოგერიება გაუჭირდათ. შეხვედრის მიწურულს სამედოვი-ასათიანი-ლებედენკოს კომბინაცია გოლით დასრულდა, „ლოკომოტივმა“ კი სამი ქულა მიითვალა.

ყაზანის „რუბინში“ გიორგი ქინქლაძის დებიუტი შედგა. ყაზანი ასწლოვან იუბილეს ზეიმობს და ყურბან ბერდიევის გუნდმა თათრეთის რესპუბლიკას იუბილეზე სამი ქულა აჩუქა. ბერდიევმა ქინქლაძე და ასტაფიევსი ნახევარდაცვის შუაში გაამწესა, რომლებმაც კარგადააწყვეს თამაში და „რუბინმა“ სწორედ ასტაფიევსის გოლით იმარჯვა.

ვლადიკავკაზის „ალანია“ კვირკველიას გაძევებამდე 0:2-ს აგებდა მოსკოვში „სპარტაკთან“, მერე კი, როცა ალანიელები ათნი დარჩნენ, სულ აირივნენ და კიდევ სამი გოლი გაუშვეს.

მოსკოვის „დინამოს“ ერთი კონა პორტუგალიელები უყიდეს, ბრაზილიელი მწვრთნელიც დაუნიშნეს, მაგრამ ამ გუნდისგან მაინც არაფერი გამოდის. დინამო თანაქალაქელ „მოსკოვთან“ დამარცხდა. დმიტრი კირიჩენკომ დუბლი გაიფორმა და 11 გოლით ბომბარდირებში დაწინაურდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 22 | 13 | 8 | 1 | 35:12 | 47 |
| ზენიტი | 22 | 11 | 7 | 4 | 36:19 | 40 |
| ცსკა | 21 | 10 | 7 | 4 | 33:14 | 37 |
| სპარტაკი | 21 | 10 | 6 | 5 | 35:20 | 36 |
| რუბინი | 21 | 9 | 8 | 4 | 24:18 | 35 |
| მოსკვა | 21 | 9 | 7 | 5 | 22:13 | 34 |
| შინიკი | 21 | 7 | 9 | 5 | 16:16 | 30 |
| ტორპედო | 21 | 6 | 9 | 6 | 23:21 | 27 |
| სატურნი | 21 | 6 | 7 | 8 | 17:17 | 25 |
| დინამო | 21 | 8 | 1 | 12 | 22:32 | 25 |
| ამკარი | 21 | 4 | 11 | 6 | 18:26 | 23 |
| ტომი | 21 | 4 | 9 | 8 | 14:21 | 21 |
| კრილია | 21 | 4 | 8 | 9 | 20:33 | 20 |
| ალანია | 21 | 4 | 7 | 10 | 17:34 | 19 |
| ტერეკი | 21 | 4 | 4 | 13 | 13:31 | 16 |
| როსტოვი | 21 | 3 | 6 | 12 | 11:29 | 15 |



ამკარი — ლოკომოტივი 3:4. პერმური თრილერი მარატ იზმაილოვის (მარცხნივ) გუნდის გამარჯვებით დამთავრდა




პსჟ — ნიცა 1:2. პარიზელი სერგეი სემაკი (მარცხივ) და ნიცელი ბაკი

# მსაჯის მოგონილი პენალტი

## საფრანგეთი

საფრანგეთი

I დივიზიონი. V ტური

**მარსელი 1:1 აიაჩო**

1:0 ხიმენესი (59), 1:1 სანფი (87პ)

**ლემანი 1:0 ტრუა**

1:0 ტომასი (41)

**ნანსი 6:0 რეინა**

1:0, 2:0 კრუპი (15, 30), 3:0 როკატი (34ს.კ.), 4:0 დიახატე (45), 5:0 კრუპი (71), 6:0 პუგრენიერი (85)

**ნანტი 0:0 მეცი**

**პსჟ 1:2 ნიცა**

1:0 პაულეტა (1), 1:1 ს. ტრაორე (72), 1:2 ბაგაიოკო (89)

გაძევება: არმანი (90, პსჟ)

**სენტ ეტიენი 0:0 სოშო**

**სტრასბური 0:0 ბორდო**

**მონაკო 0:0 ლანსი**

**ოსერი 0:2 ლიონი**

0:1 დიარა (6), 0:2 ჟუნინიო (45)

**ოთხ ტურში** კინკილა გოლის გამტანმა „ნანსიმ“ „რენთან“ ისე გაილაღა, რომ მეტოქეს ბურთი კარიდან ექვსჯერ გამოატანინა. „რენს“ კი შეუძლია, დაცვით „იტრაბახოს“, რადგან ბოლო სამ მატჩში უკვე 12 გოლი გაუშვა.

ელი კროუპის ჰეთ-თრიქი გაიფორმა, სტუმარმა როშამ ბურთი საკუთარ კარში მოათავსა, ხოლო თითო-თითო გოლი დიახატემ და პუიგრენიემ მიითვალეს. დებიუტანტი „ნანსისთვის“ ეს სეზონში პირველი გამარჯვებაა.

„მარსელი“ ახალწვეული კრისტიან ხიმენესის გოლით დაწინაურდა, რომელიც ხუთი დღის წინ „ბაზელიდან“ გადაიბირეს, მაგრამ „აიაჩოს“ ფორვარდმა საიფიმ თამაშის მიწურულს პენალტით გაათანაბრა. მასპინძელთა მწვრთნელი ჟან ფერნანდესი მსაჯს „ეცა“, მოგებას ვიმსახურებდით, მაგრამ მოგონილმა პენალტმა სამი ქულა დაგვაკარგვინაო.

ჩემპიონობის მსურველი პსჟ შინ „ნიცასთან“ დამარცხდა. წაგება თავის თავზე აიღო პარიზელთა მცველმა მარიო იეპესმა, რომელმაც ნამატჩევს მოიბოდიშა. პსჟ პედრო პაულეტას გოლით პირველ წუთზე დაწინაურდა და შეეძლო, საქმე სამ ქულამდე მიეყვანა, მაგრამ თამაშის ბოლოს იეპესის ორი შეცდომა მასპინძლებს ორ გოლად დაუჯდათ. ჯერ სემი ტრაორემ იხეირნა, მერე კი მამადუ ბაგაიოკომ გამარჯვებისა გაიტანა.

ჟაკ სანტინი ყოფილ გუნდ „ლიონს“ „ოსერით“ დაუხვდა და დამარცხდა. მაჰამადუ დიარამ მეექვსე წუთზე ჟუნინიოს პასით ანგარიში გახსნა, ხოლო შესვენებამდე წუთით ადრე თვითონ ჟუნინიომ იხეირა. ბრაზილიელმა ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, რომელიც ყველას გადააფრინდა და ფაბიენ კოლოს კარში ჩაეშვა.

„ტრუას“ ოთხმატჩიანი წაუგებელი სვლა „ლე მანმა“ ფრედერიკ ტომასის გოლით დაასრულა, ხოლო „მონაკო“ ჩევანტონის და ადებაიორის გარეშე „ლანსს“ უგოლოდ დაუხვდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 5 | 4 | 1 | 0 | 7:2 | 13 |
| ლანსი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:3 | 10 |
| პსჟ | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 10 |
| ბორდო | 5 | 3 | 1 | 1 | 4:1 | 10 |
| ლე მანი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:2 | 8 |
| ნანტი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 |
| ნიცა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| აიაჩო | 5 | 1 | 4 | 0 | 6:4 | 7 |
| სტ. ეტიენი | 5 | 1 | 4 | 0 | 3:1 | 7 |
| მონაკო | 5 | 2 | 1 | 2 | 3:4 | 7 |
| ოსერი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:9 | 7 |
| ლილი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ტრუა | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 6 |
| სოშო | 5 | 1 | 2 | 2 | 2:3 | 5 |
| ტულუზი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:5 | 5 |
| ნანსი | 5 | 1 | 0 | 4 | 7:5 | 3 |
| სტრასბური | 5 | 0 | 3 | 2 | 1:3 | 3 |
| მეცი | 5 | 0 | 3 | 2 | 1:6 | 3 |
| რენი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:16 | 3 |
| მარსელი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:9 | 2 |

I დივიზიონი. VI ტური

ბასტია — რეიმსი 0:1; ბრესტი — კლერმონი 2:0; კაენი — გენგამი 0:0; შატორუ — კრეტეი 0:2; დიჟონი — სედანი 0:1; გრენობლი — სეტე 0:0; ლე ავრი — ვალანსი 3:0; ლორიანი — ისტრი 1:1; მონპელიე — ლავალი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრეტეი | 6 | 4 | 2 | 0 | 14:4 | 14 |
| ბასტია | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 11 |
| ლორიანი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| სედანი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 |
| შატორუ | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 10 |
| გრენობლი | 6 | 3 | 1 | 2 | 4:6 | 10 |
| ისტრი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:5 | 9 |
| ბრესტი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:7 | 9 |
| ვალანსი | 6 | 3 | 0 | 3 | 6:7 | 9 |
| გენიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:4 | 8 |
| კლერმონი | 6 | 2 | 2 | 2 | 3:5 | 8 |
| რეიმსი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:4 | 7 |
| გენგამი | 6 | 1 | 4 | 1 | 4:4 | 7 |
| მონპელიე | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | 7 |
| ამიენი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:4 | 6 |
| ლავალი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:7 | 6 |
| დიჟონი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:6 | 5 |
| ლე ავრი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:11 | 5 |
| სეტე | 6 | 0 | 3 | 3 | 3:7 | 3 |
| კაენი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:8 | 1 |

# კოლინას ოპელი დაეჯახა

**პიერლუიჯი კოლინას** იტალიაში მსაჯობა არ აცალეს. 45 წლის არბიტრს ქვეყნის მსაჯთა ასოციაციამ სერია A-ში სტვენა აუკრძალა. კოლინას „ოპელთან“ კონტრაქტი ჰქონია გაფორმებული, სანაცვლოდ კი წლიურად თურმე 800 ათას ევროს იღებს. სწორედ ამ ამბავმა გამოიწვია კონფლიქტი მელოტ მსაჯსა და ასოციაციას შორის. ცნობილია, რომ „ოპელთან“ კონტრაქტი აკავშირებს „მილანსაც“ და ამიტომ „ოპელიანი“ კაცის მსაჯობა იქ, სადაც ამავე ფირმის დასპონსორებული გუნდი თამაშობს, ასოციაციამ მიუღებლად მიიჩნია.

„28-წლიანი კარიერის შემდეგ გადავწყვიტე, იტალიის მსაჯთა ასოციაცია დავტოვო“ — თქვა კოლინამ, რომელიც ევროთასებზე სტვენას კვლავ გააგრძელებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



## სლოვაკეთი

I ლიგა. VII ტური

რუჟომბეროკი — დუბნიცა 1:0; ინტერი — პუხოვი 1:1; ტრნავა — ნიტრა 2:0; ბ. ბისტრიცა — პეტრჟალკა 3:0; ტრენჩინი — ჟილინა 0:1

## ხორვატია

NHL. VI ტური

სლავენი — დინამო 0:2; ზაგრები — პულა 2:0; ჰაიდუკი — ციბალია 1:1; კამენი — მედიმურიე 2:2; ვარტექსი — რიეკა 1:4; ოსიეკი — ინტერი 1:0

## უნგრეთი

NB I

IV ტური

ზალაეგერსეგი — ფერენცვაროში 3:2; ვაშაში — ვიდეოტონი 0:3; უიპეშტი — პეჩი 5:1; მტკ — ტატაბანია 1:0; ლომბარდ-პაპა — ჰონვედი 2:2; გიორი — დებრეცენი 1:2; რიკი — დიოშგიორი 0:2; კაპოშვარი — შოპრონი 2:0

## უკრაინა

I ლიგა. VII ტური

კრივბასი — სტალი 2:1; შახტარი — მეტალურგი ზ. 3:1; ხარკოვი — ზაკარპატიე 1:0; ტავრია — არსენალი 0:1; ვოლინი — ვორსკლა 2:1; ჩორნომორეცი — მეტალისტი 5:2

## სლოვენია

სიმობილ ლიგა. VI ტური

დრავა — კოპერი 1:0; რუდარი — მარიბორი 0:1; გორიცა — პრიმორიე 2:0; ბელაკრაინა — ნაფტა 1:4

# სარბიელი და პროპო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 10 | ვულვერჰემპტონი-ქპრ | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **1 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 89 | ჰოფენჰაიმი-აალენი | 1.60 | 3.60 | 4.50 | 1.10 | 1.18 | 2.00 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 357 | კაფენბერგი-კუფშტაინი | 1.45 | 3.70 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.25 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 20:30 | 148 | დესელი-გეელი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 20:30 | 149 | ეუპენი-რონსე | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 20:30 | 151 | ვაასლანდი-ლომელი | 1.75 | 3.40 | 3.85 | 1.15 | 1.20 | 1.80 |
| 20:30 | 152 | ტუბეკე-ოსტენდე | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 20:30 | 153 | ვიგორი-დაინცე | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 22:00 | 154 | ანტვერპენი-მონსი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 22:00 | 155 | კორტრაიკი-ვირტონი | 1.85 | 3.20 | 3.50 | 1.17 | 1.21 | 1.67 |
| 22:00 | 156 | მეხელენი-სტ.ტილი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 358 | დეგერფორსი-ბრომაპოიკარნა | 2.45 | 3.20 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |
| 21:00 | 359 | გაის-ფრიოლუნდა | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 218 | ფილკირი-კეფლავიკი | 2.20 | 3.10 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 318 | ბრეჩინი-მორტონი | 2.05 | 3.60 | 2.75 | 1.30 | 1.17 | 1.55 |
| 22:30 | 319 | დანდი-ერდრი | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| 22:30 | 320 | პარტიკი-სტ.ჯონსტონი | 3.10 | 3.50 | 1.90 | 1.64 | 1.17 | 1.23 |
| 22:30 | 321 | ქუინი-სტ.მირენი | 2.60 | 3.50 | 2.15 | 1.49 | 1.17 | 1.33 |
| 22:30 | 322 | რეითი-დამბარტონი | 1.75 | 3.60 | 3.50 | 1.17 | 1.16 | 1.77 |
| 22:30 | 323 | როსი-ჰამილტონი | 2.20 | 3.50 | 2.60 | 1.35 | 1.19 | 1.49 |
| 22:30 | 324 | სტირლინგი-ბერიკი | 1.85 | 3.60 | 3.20 | 1.22 | 1.17 | 1.60 |
| 22:30 | 325 | სტრანრარი-სტენჰაუზმური | 1.45 | 3.90 | 5.30 | 1.05 | 1.13 | 2.24 |
| | | **სლოვაკეთი. თასი** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 328 | რუჟომბეროკი-პუხოვი | 1.60 | 3.20 | 5.10 | 1.06 | 1.21 | 1.96 |
| 19:00 | 329 | ტრნავა-კოშიცე | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 330 | ინტერი-პეტრჟალკა | 2.65 | 3.00 | 2.40 | 1.40 | 1.25 | 1.33 |
| 19:00 | 331 | ნიტრა-ჟილინა | 2.60 | 3.00 | 2.45 | 1.39 | 1.26 | 1.34 |
| 19:00 | 332 | ტრენჩინი-ბ.ბისტრიცა | 2.40 | 3.00 | 2.65 | 1.33 | 1.25 | 1.40 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 360 | როსტოვი-ლუჩი | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| 19:00 | 361 | ურალი-სატურნი | 3.30 | 3.00 | 2.10 | 1.57 | 1.28 | 1.23 |
| | | **დანია. თასი** | | | | | | |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 362 | ნიკიობინგი-ჰერფიოლგე | 2.10 | 3.70 | 2.80 | 1.33 | 1.20 | 1.59 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### ავსტრია

**ბუნდესლიგა. VIII ტური**

რიდი — რაპიდი 2:2; ზალცბურგი — ადმირა 3:2; აუსტრია — პაშინგი 0:2; გრაცერი — ტიროლი 1:1; მატერსბურგი — შტურმი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 8 | 5 | 1 | 2 | 14:12 | 16 |
| რაპიდი | 8 | 4 | 2 | 2 | 16:9 | 14 |
| გრაცერი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:9 | 14 |
| პაშინგი | 8 | 3 | 4 | 1 | 12:6 | 13 |
| მატერსბურგი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:13 | 11 |
| რიდი | 8 | 2 | 4 | 2 | 12:11 | 10 |
| ზალცბურგი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:11 | 10 |
| შტურმი | 8 | 2 | 4 | 2 | 9:10 | 10 |
| ტიროლი | 8 | 1 | 5 | 2 | 6:10 | 8 |
| ადმირა | 8 | 0 | 1 | 7 | 8:19 | 1 |

### თურქეთი

**სუპერლიგა. IV ტური**

გაზიანთეფი — გალათასარაი 2:2; ანკარა — რიზე 0:0; ფენერბაჰჩე — სამსუნი 5:2; კონია — დენიზლი 1:0; სივასსპორი — მანისა 1:0; მალათია — ტრაბზონი 1:1; ანკარაგუჯუ — ერჯიესი 1:2; ქაისერი — გენჩლერი 2:0; ბეშიქთაში — დიარბაქირი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:5 | 10 |
| ფენერბაჰჩე | 4 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 8 |
| ბეშიქთაში | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| ტრაბზონი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| გაზიანთეფი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:5 | 8 |
| ერჯიესი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| სივასსპორი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| ქაისერი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 6 |
| ანკარა | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| დიარბაქირი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| კონია | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| მანისა | 4 | 1 | 1 | 2 | 8:5 | 4 |
| სამსუნი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:11 | 3 |
| გენჩლერი | 4 | 0 | 2 | 2 | 0:4 | 2 |
| მალათია | 4 | 0 | 2 | 2 | 4:12 | 2 |
| რიზე | 4 | 0 | 1 | 3 | 2:5 | 1 |
| ანკარაგუჯუ | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | 1 |
| დენიზლი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |

### ჩეხეთი

**გამბრინუსლიგა. IV ტური**

სიგმა — სლავია 4:3; ბანიკი — ბოლესლავი 1:3; სლოვაცკო — მოსტი 2:1; ბლშანი — პრჟიბრამი 1:0; იაბლონეცი — პლზენი 3:1; იპლავა — ლიბერეცი 0:2; ტეპლიცე — ზლინი 2:1; სპარტა — ბრნო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 12 |
| სიგმა | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| პრჟიბრამი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ტეპლიცე | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| სპარტა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ბოლესლავი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:6 | 6 |
| მოსტი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:5 | 6 |
| იაბლონეცი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:7 | 6 |
| პლზენი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ბლშანი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:7 | 6 |
| სლავია | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |
| იპლავა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| სლოვაცკო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ზლინი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| ბანიკი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| ბრნო | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |

### შვედეთი

**ალსვენსკა. XX ტური**

ასირისკა — იურგორდენი 0:2; მალმიო — სუნდსვალი 6:2; გეფლე — ჰეკენი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 20 | 12 | 4 | 4 | 41:22 | 40 |
| გიოტებორგი | 19 | 10 | 6 | 3 | 24:10 | 36 |
| მალმიო | 20 | 10 | 5 | 5 | 29:20 | 35 |
| ჰელსინგბორგი | 19 | 10 | 3 | 6 | 28:28 | 33 |
| ჰამარბი | 19 | 9 | 5 | 5 | 34:22 | 32 |
| ჰეკენი | 20 | 8 | 2 | 10 | 25:24 | 26 |
| კალმარი | 19 | 6 | 8 | 5 | 17:17 | 26 |
| ელფსბორგი | 19 | 7 | 5 | 7 | 26:29 | 26 |
| იორგრიტე | 19 | 7 | 4 | 8 | 25:28 | 25 |
| გეფლე | 20 | 7 | 4 | 9 | 20:25 | 25 |
| ლანდსკრონა | 19 | 6 | 4 | 9 | 20:32 | 22 |
| ჰალმსტადი | 19 | 6 | 3 | 10 | 28:29 | 21 |
| სუნდსვალი | 20 | 4 | 5 | 11 | 24:41 | 17 |
| ასირისკა | 20 | 4 | 2 | 14 | 15:29 | 14 |

### ნორვეგია

**ტიპელიგა. XIX ტური**

როზენბორგი — ლინი 0:1; ოდ გრენლანდი — სტარტი 2:0; ჰამ კამი — ლილესტრიომი 2:3; ვოლერენგა — ბოდიო გლიმტი 3:1; ტრომსიო — ალესუნდი 1:1; მოლდე — ვიკინგი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 19 | 11 | 5 | 3 | 35:21 | 38 |
| ვოლერენგა | 18 | 11 | 4 | 3 | 31:18 | 37 |
| ლინი | 19 | 9 | 7 | 3 | 27:16 | 34 |
| ვიკინგი | 19 | 10 | 4 | 5 | 29:23 | 34 |
| ლილესტრიომი | 19 | 10 | 3 | 6 | 30:25 | 33 |
| ბრანი | 18 | 7 | 5 | 6 | 32:22 | 26 |
| ოდ გრენლანდი | 19 | 7 | 3 | 9 | 19:34 | 24 |
| ფრედრიკსტადი | 18 | 6 | 5 | 7 | 27:26 | 23 |
| ჰამ კამი | 19 | 6 | 4 | 9 | 22:27 | 22 |
| როზენბორგი | 19 | 6 | 3 | 10 | 31:33 | 21 |
| ტრომსიო | 19 | 3 | 9 | 7 | 20:25 | 18 |
| მოლდე | 18 | 5 | 3 | 10 | 23:35 | 18 |
| ბოდიო გლიმტი | 19 | 4 | 4 | 11 | 22:32 | 16 |
| ალესუნდი | 19 | 3 | 7 | 9 | 17:28 | 16 |

### პოლონეთი

**პირველი ლიგა. V ტური**

პლოცკი — ზაგლებე 3:2; ოდრა — ვისლა 1:1; გროცლინი — ლეჩნა 1:1; კრაკოვია — ლეგია 1:1; პოგონი — გურნიკი 1:1; პოლონია — ამიკა 0:0; ლეხი — კორონა 0:0; ბელხატოვი — არკა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამიკა | 5 | 2 | 2 | 1 | 10:4 | 8 |
| ვისლა | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 8 |
| ლეხი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:9 | 8 |
| პოგონი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:8 | 8 |
| გურნიკი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:2 | 7 |
| პლოცკი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| ლეგია | 5 | 1 | 3 | 1 | 4:3 | 6 |
| გროცლინი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 6 |
| ოდრა | 5 | 1 | 3 | 1 | 3:6 | 6 |
| არკა | 5 | 0 | 5 | 0 | 4:4 | 5 |
| პოლონია | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| კორონა | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| კრაკოვია | 4 | 1 | 2 | 1 | 2:4 | 5 |
| ბელხატოვი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:7 | 5 |
| ლეჩნა | 5 | 0 | 4 | 1 | 3:5 | 4 |
| ზაგლებე | 5 | 0 | 3 | 2 | 8:10 | 3 |

### ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. XXI ტური**

ტურკუ — ინტერი 1:3; ჰაკა — კტპ 1:1; ტპ 47 — ლაჰტი 0:3; ჰიკ — იარო 1:0; კუოპიო — როვანიემი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 19 | 11 | 7 | 1 | 33:15 | 40 |
| მიუპა | 18 | 11 | 5 | 2 | 31:12 | 38 |
| ჰაკა | 20 | 8 | 10 | 2 | 32:14 | 34 |
| ინტერი | 18 | 9 | 6 | 3 | 26:9 | 33 |
| ლაჰტი | 22 | 9 | 4 | 9 | 33:34 | 31 |
| ტამპერე | 18 | 8 | 6 | 4 | 26:19 | 30 |
| ალიანსი | 18 | 5 | 10 | 3 | 21:26 | 25 |
| კტპ | 20 | 6 | 6 | 8 | 26:33 | 24 |
| კუოპიო | 20 | 6 | 4 | 10 | 22:33 | 22 |
| იარო | 20 | 5 | 6 | 9 | 17:22 | 21 |
| მარიეჰამნი | 18 | 5 | 5 | 8 | 20:25 | 20 |
| ტურკუ | 19 | 5 | 4 | 10 | 19:29 | 19 |
| როვანიემი | 20 | 3 | 7 | 10 | 17:36 | 16 |
| ტპ 47 | 20 | 3 | 2 | 15 | 14:30 | 11 |

### შვეიცარია

**სუპერლიგა. VII ტური**

აარაუ — გრასჰოპერი 0:1; ბაზელი — ქსამაქსი 3:0; სენტ გალენი — იანგ ბოისი 0:1; ივერდონი — თუნი 2:0; ციურიხი — შაფჰაუზენი 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 7 | 5 | 1 | 1 | 18:10 | 16 |
| ციურიხი | 7 | 4 | 1 | 2 | 19:12 | 13 |
| გრასჰოპერი | 7 | 4 | 1 | 2 | 14:10 | 13 |
| იანგ ბოისი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| თუნი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:10 | 13 |
| შაფჰაუზენი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:11 | 9 |
| სენტ გალენი | 7 | 2 | 2 | 3 | 15:13 | 8 |
| აარაუ | 7 | 1 | 2 | 4 | 6:15 | 5 |
| ქსამაქსი | 7 | 1 | 1 | 5 | 8:14 | 4 |
| ივერდონი | 7 | 1 | 1 | 5 | 6:14 | 4 |

**ჩელენჯლიგა. VII ტური**

ლუგანო — კრიენსი 1:1; ვინტერთური — იუვენტუსი 0:1; სიონი — კიასო 1:1; მეირინი — ბოლმი 0:2; ლუცერნი — კონკორდია 5:1; ბელინცონა — ვილი 0:0; ლოზანა — ლოკარნო 2:1; ვადუცი — ბადენი 4:0

### საბერძნეთი

საბერძნეთი

**ნაციონალლიგა. I ტური**

კალითეა — ეგალეო 1:1; ქსანთი — პაოკ 1:0; ატრომიტოსი — ირაკლისი 3:1; კალამარია — ოფი 2:1; პანათინაიკოსი — ოლიმპიაკოსი 0:2; პანიონიოსი — ლარისა 1:1

### დანია

**სუპერლიგა. VII ტური**

ორჰუსი — ბრონდბიუ 3:0; კოპენჰაგენი — სილკებორგი 2:0; ჰორსენსი — ოლბორგი 0:0; ნორდსიელანდი — ესბიერგი 2:0; სონდერილანდი — მიდტიულანდი 2:4; ვიბორგი — ოდენსე 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 7 | 6 | 1 | 0 | 11:3 | 19 |
| ბრონდბიუ | 7 | 5 | 1 | 1 | 13:7 | 16 |
| ვიბორგი | 7 | 4 | 1 | 2 | 15:9 | 13 |
| ოდენსე | 7 | 3 | 3 | 1 | 12:7 | 12 |
| მიდტიულანდი | 7 | 3 | 2 | 2 | 14:14 | 11 |
| ნორდსიელანდი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:10 | 8 |
| სილკებორგი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:13 | 8 |
| სონდერილანდი | 7 | 2 | 1 | 4 | 11:15 | 7 |
| ოლბორგი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:8 | 6 |
| ესბიერგი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:11 | 5 |
| ორჰუსი | 7 | 1 | 2 | 4 | 11:15 | 5 |
| ჰორსენსი | 7 | 0 | 4 | 3 | 1:7 | 4 |

**I დივიზიონი. V ტური**

სკიოლდი — აკადემისკი 0:2; ველერუპი — ფრედერისია 1:1; ბრაბრანდი — კოლდინგი 1:0; ფრემადი — კიოგე 2:2; იოლსტიკე — ბრიონსჰოი 4:2; ფრემი — ვეილე 1:1; რანდერსი — ლინგბი 4:1; ჰერფიოლგე — ნიკიობინგი 0:2

## კალათბურთი



ვლადიმერ ბოისამ დირკ ნოვიცკის ტოლი არ დაუდო

# საქართველომ ნოვიცკი ნახა და გერმანია დაავიწყდა

## წაგებით დაწყებული ჰერბერტმა წაგებით დაასრულა

27 აგვისტო.

**ბრაუნშვაიგი. 3142 მაყურებელი**

**გერმანია 88:54 საქართველო**

24:8 19:17 23:12 22:17

გერმანია: ნოვიცკი (26 წუთი, 15 ქულა, 8 მოხსნა), ოკულაია (10), გრინი (16), ვეხერერი (10), არიგბაბუ (2), მარასი (8), ჰერბერი (3), გარეტი (10), შულცე (12), ტერდენგე (2), როლერი

საქართველო: ცინცაძე (13 ქულა, 4 პასი), გამყრელიძე (2), ა. ბოისა, ვ. ბოისა (15 ქულა, 7 მოხსნა), უგრეხელიძე (15 ქულა, 8 მოხსნა); ცქიტიშვილი (7 ქულა, 7 მოხსნა), მდივანი (2), გ. მარკოიშვილი, ხეცურიანი, საყვარელიძე

28 აგვისტო

**საქართველო 57:69 ბელარუსი**

23:11 14:29 14:14 6:15

საქართველო: გამყრელიძე (4), ა. ბოისა (3), ცქიტიშვილი (6), ვ. ბოისა (11 ქულა, 9 მოხსნა), ფაჩულია (18 ქულა, 10 მოხსნა); ცინცაძე (11), უგრეხელიძე (2), ხეცურიანი

ბელარუსი: ულიანკო (11), კუდრიავცოვი (9), ჟიშკუნოვი (4), პინციკოვი (3), ალექსეევი (20), კორშუკი (4), ჩარკო (6), კრივონოსი (4), კანდრუსევიჩი (8), აკულიჩი

**მორჩა,** გაითავდა, საქართველოს ნაკრებს ფინეთთან შეხვედრამდე სპარინგ-მატჩი აღარ ექნება და ისე ჩანს, რომ მთლად მომზადებული ვერაა. გორდონ ჰერბერტის გაწვრთნილმა „ხუთჯვაროსნებმა“ იტალიური ტურნირის დარად გერმანიაშიც ყველა მატჩი წააგეს და ამ ყველაფრიდან იმედისმომცემი მხოლოდ ბერძნებთან 11-ქულიანი მარცხი გახლდათ.

საბერძნეთთან „ნაყოჩაღევი“ ქართველები ბრაუნშვაიგის სუპერთასად წოდებული ტურნირის მორიგ მატჩში გერმანელებს შეხვდნენ. ეს იყო ისტორიული მატჩი ჩვენიანთათვის, რაკი მათ წინააღმდეგ ითამაშა თანამედროვეობის ერთ-ერთმა საუკეთესო კალათბურთელმა, „დალას მავერიკსის“ ყოჩმა დირკ ნოვიცკიმ.

ჰოდა, ქართველებმა ისე მოინდომეს გერმანელი სუპერვარსკვლავის გაუვნებლება, რომ სხვები გადაავიწყდათ და საბოლოოდ განადგურდნენ კიდეც — 54:88.

როგორც გერმანული პრესა იუწყება, მასპინძლებმა თავიდანვე მაგრად დაჩაგრეს ქართველები. ჰერბერტის სამწყსომ საწყის ხუთ წუთში ბურთი ვერ ჩააგდო. ნავსი ნიკოლოზ ცქიტიშვილმა გატეხა, როცა 0:11-ზე ორქულიანი მიითვალა.

ქართველებს გერმანელებთან მხოლოდ ის თუ დაექვეხნებათ, რომ დირკ ნოვიცკი მხოლოდ 15 ქულას დააჯერეს. არადა, დალასელმა წინა შეხვედრაში ბელარუსს 33 ჩაუგდო. ნოვიცკის მეურვეობაში ლომის წილი ვლადიმერ ბოისამ დაიდო, რომელსაც დავით უგრეხელიძე შეეშველა. საინტერესოა, რომ სამივე ამ მოთამაშემ — ნოვიცკიმ, ბოისამ და უგრეხელიძემ — 15-15 ქულა მოაგროვეს.

გერმანიაც და ქართველთა ყველა მანამდელი მეტოქე (ცენტრალური აფრიკის გარდა) მოახლოებული ევროპის ჩემპიონატის მონაწილენი არიან და მათთან დამარცხება თუ ტრაგედიად არ უნდა ჩაითვალოს, ბელარუსთან ბოლო სპარინგ-მატჩში ჩაფლავება გორდონ ჰერბერტის საწმყსოს გვარიან ჩრდილს აყენებს. საქართველოს ბრაუნშვაიგში ბოლო მეტოქედ მეტნაკლებად თანაბარძალიანი მეტოქე ერგო, მაგრამ ბელარუსებთან მაინც ვერაფერი გააწყვეს. არადა, მოედანზე იყო წინა ორი მატჩის ტრავმის გამო გამცდენი ზაზა ფაჩულია. ვერც ცქიტიშვილმა გამოილო ფრთა და ევროპისთვის არაფრისმთქმელი კალათბურთელებით დაკომპლექტებულმა ბელარუსმა 12 ქულით იმარჯვა.

ბრაუნშვაიგიდან ქართველები ფრანკფურტში დაბრუნდნენ, სადაც 1 სექტემბრამდე დარჩებიან და შემდეგ ფინეთში გაფრინდებიან. სავარაუდოდ, ნაკრებს იქ შეუერთდება შემონდ უილიამსი, რომელიც არც ერთ მოსამზადებელ მატჩში არ მონაწილეობდა და ერთი ვარჯიშიც არ ჩაუტარებია გორდონ ჰერბერტის ხელქვეით. უილიამსის ნაკრებისადმი გულგრილობა ნაკრების თავკაცს, ცხადია, არ სიამოვნებს და არც იმაშია დარწმუნებული, რომ ნატურალიზებული ამერიკელი უთუოდ ჩავა ფინეთში. აი, ჰერბერტის მინი-ინტერვიუც...

**— ბერძნებთან ღირსეულად ნათამაშები მატჩის შემდეგ გერმანელებთან უიმედო წაგება ალბათ მოულოდნელობა იყო...**

— ძნელია რამის თქმა, გერმანიასთან ძალიან ცუდად ვითამაშეთ. ასეთ იმედგაცრუებას ნამდვილად არ ველოდი. გერმანიამ ყველაფერში გვაჯობა. ჩვენი გუნდი ენერგიისგან სრულიად დაცლილი იყო.

**— ბელარუსთან?**

— რა შედარებაა, ბელარუსთან გაცილებით კარგად ვითამაშეთ, მაგრამ შეცდომებმა დაგვღუპა. ჩვენმა ნაკრებმა 28-ჯერ დაკარგა ბურთი და 23-ჯერ ფარს ააცილა. მეტოქემ ეს არ გვაპატია და მიუხედავად იმისა, რომ პირველი მეოთხედი დამაჯერებლად მოვიგეთ, საბოლოოდ 12 ქულით დაგვამარცხა.

**— ცქიტიშვილმა როგორ ითამაშა?**

— ბელარუსთან უკეთ გამოიყურებოდა, თანდათან შედის ფორმაში. ფაჩულიას გერმანიასთან არ უთამაშია და ბელარუსთანაც ძალიან არ დავტვირთეთ.

**— შემონდ უილიამსზე რას იტყვით, რომელიც ჯერაც არ ჩანს?**

— რა გითხრათ, მე მაგ საქმეში არ ვერევი, მისი ჩამოყვანა ჩემს კომპეტენციაში არ შედის.

**— აუცილებლად ჩამოვა ფინეთთან?**

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით.

**— ფინელებთან მატჩს რამდენად ოპტიმისტურად ხვდებით?**

— ძალიან ძნელი მატჩი გველის და ვფიქრობ, რომ გაგვიჭირდება. მოსამზადებლად საკმარისი დრო არ გვქონია, თუმცა მაქსიმუმს გავიღებთ გამარჯვებისთვის.

**ირაკლი პერტაია**

## სროლა

# მიუნხენიდან სალუქვაძემ ბრინჯაო წამოიღო



ნინო სალუქვაძე

**საუკეთესო** ქართველმა მსროლელმა ნინო სალუქვაძემ მიუნხენში დასრულებულ მსოფლიოს თასის ფინალურ გათამაშებაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მან 10 მეტრიდან პნევმატური იარაღით სროლაში იყოჩაღა.

ნინომ საკვალიფიკაციო ეტაპზე ყველას აჯობა, უკრაინელი ილონა კორტევიჩის მსგავსად 99,4 ქულა მოაგროვა და ფინალშიც გავიდა, მაგრამ იქ ზუსტად ველარ ისროლა და საბოლოოდ 484,4 ქულით მესამე ადგილს დასჯერდა. პირველ ადგილზე გამოცდილი სერბი სნაიპერი იასნა სეკარიში გავიდა (488,2), მეორეზე კი კოსტევიჩი (485,4).

სალუქვაძემ 25 მეტრიდან სპორტული პისტოლეტით სროლაშიც სცადა ბედი, თუმცა მხოლოდ 781,9 ქულა მოაგროვა და მეხუთე ადგილზე გავიდა. პირველი ადგილი და ოქროს მედალი კი 790,9 ქულით ჩინელმა იან ჩენმა დაისაკუთრა.

**ლუბა გეგეჭკორი**

## ჩოგბურთი



ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

მაკა ჩახნაშვილი

# ორი მოსკოვი ქართულ სექტემბრამდე

## ჩახნაშვილი ქულებს აგროვებს

**22 წლის** ქართველმა ჩოგბურთელმა მაკა ჩახნაშვილმა მოსკოვის 25 ათას დოლარიანი ტურნირის ნახევარფინალს უწია. მსოფლიოს კლასიფიკაციაში 318-ე ადგილზე მდგომს რეიტინგი გათამაშების ძირითად ბადეში მოსახვედრადაც ეყო და ტურნირის მეექვსე ნომრად განსათესადაც.

პირველ წრეში ჩახნაშვილმა ბელარუს დარია კუსტავას სამ სეტში აჯობა — 2:6, 7:5, 6:3. მერვედფინალში რუს ოლგა პანოვას ორი აკმარა — 6:4, 6:2, მერე კი ასევე ორ სეტში 6:2, 7:5 სძლია იტალიელ სტეფანია ჩიეპასაც. ნახევარფინალიც ისე დაიწყო, მაკას რომ გაუხარდებოდა. რუს ალისა კლეიბანოვასთან ქართველმა პირველი სეტი 6:0 მოიგო, მაგრამ შემდეგ უპირატესობა გაანიავა, ზედიზედ ორი სეტი წააგო (4:6, 1:6) და ფინალში კლეიბანოვა გავიდა.

გუშინ მოსკოვშივე კიდევ ერთი 25-ათასიანი ტურნირი დაიწყო, მაკა ჩახნაშვილი იქაც შეეცდება სარეიტინგო ქულების მოპოვებას. სექტემბერში კი საქართველოშიც გაიქნევს ჩოგანს. 12-25 სექტემბერს თბილისში, „მესხის საჩოგბურთო აკადემიის“ კორტებზე 10 და 25 ათასიანი ტურნირებია, ხოლო 26-დან ბათუმის 50-ათასიანი.

**ოთარ მაღლაკელიძე**

საქართველოს ყრუთა სპორტული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ფეხბურთში ყრუთა საერთაშორისო თამაშების ჩემპიონი (1973) და
ვერცხლის პრიზიორი (1969),
საბჭოთა კავშირის
სამგზის ჩემპიონი (1969, 1970, 1972),
**იური გრიგოლის ძე მესხი**
და სამძიმარს უცხადებს მის ახლობლებს

## სამი ერი 2005



როკოკოკოს შეჩერება მეტად საძნელო აღმოჩნდა

# ფინალად მონათლული შავებმა მოიგეს
## ქურციკები ვოლაბების იმედად დარჩნენ

27 აგვისტო. დუნედინი

**ახ. ზელანდია. 31:27 სამხ. აფრიკა**

**ახალი ზელანდია:** მილს მულიაინა, რიკო გირი, ტანა უმაგა (კაპ), აარონ მაუგერი, ჯო როკოკოკო; ლეონ მაკდონალდი, პირი უიიპუ; როდნი სოოიალო, რიჩი მაკქოუ, ჯერი კოლინზი, ალი უილიამსი, კრის ჯეკი, კარლ ჰაიმანი, კევენ მეალამუ, ტონი ვუდკოკი

**სათადარიგოები:** დერენ ვიტკომბი, გრეგ სომერვილი, ჯეიმს რაიანი, სიონე ლაუაკი, კევინ სენიო, ლიუკ მაკალისტერი, დაგ ჰაულეტი

*4 ლელო: როკოკოკო (2), მაკდონალდი, მეალამუ; 4 გარდასახვა: მაკდონალდი (3), მაკალისტერი; 1 საჯარიმო: მაკდონალდი*

**სამხრეთ აფრიკა:** პერსი მონტგომერი, ჟან დე ვილიერი, ჟაკ ფიური, დე ვეტ ბარი, ბრაიან ჰაბანა; ანდრე პრეტორიუსი, რიკი ჯანუარი; ჯო ფან ნიკერკი, ხუან სმიტი, შალკ ბურგერი, ვიქტორ მეტფილდი, ბაკიზ ბოთა, სიჯეი ფან დერ ლინდე, ჯონ სმიტი (კაპ), ოზ დუ რანდტი

**სათადარიგოები:** ჰანიანი შიმანჯი, ედი ენდრიუსი, ალბერტ ფან დენ ბერგი, ჟაკ კრონიე, ფიური დუპრე, იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი, მარიუს ჟუბერი

*3 ლელო: ჰაბანა, ჯანუარი, ფიური; 3 გარდასახვა: მონტგომერი; 2 საჯარიმო: მონტგომერი*

**შაბათს** დუნედინში ახალმა ზელანდიამ სამხრეთ აფრიკას უმასპინძლა სამი ერის თასის მეხუთე და ბოლოსწინა თამაშში.

მატჩის წინ ორივე მწვრთნელი, გრეჰ ჰენრი და ჯეიკ უაითი, ერთნაირად აფასებდა მომავალ რკენას. ორივე ამბობდა, ეს თამაში ფინალის ტოლფასიაო.

მატჩამდე სამხრეთ აფრიკას 12 ქულა ჰქონდა, ახალ ზელანდიას — 5, თუმც ამ უკანასკნელს ერთი თამაშით მეტი უნდა ჩაეტარებინა — მომავალ შაბათს ოკლენდში ავსტრალიას უმასპინძლებს.

„ფინალი", როგორც ეს თამაში მწვრთნელებმა მონათლეს, ახალზელანდიელებმა მოიგეს, თანაც 4 ლელოს გატანისთვის 1 ბონუს ქულაც მიითვალეს და ახლა 10 ქულა აქვთ. ბონუსი სტუმრებმაც შეირგეს, 7 ქულაზე ნაკლები სხვაობით წაგებისთვის და მიუხედავად იმისა, რომ „შავებს" ჯერ კიდევ 3 ქულით უსწრებენ, სპეციალისტთა აზრით, ახალი ზელანდია უკვე გაჩემპიონდა. საინტერესოა, რომ ავსტრალიას არაფერი არაფრად აგდებს და ასე გამოდის, რომ ზელანდიელთა მიერ „ვოლაბთა" ძლევა ალარავის ეეჭვება.

მოდით ახლა, თამაშს მივუბრუნდეთ, რომელიც მართლაც დიდებული საცქერი გამოდგა.

სანამ ფრანგი მსაჯი სასტარტოდ დაუსტვენდა, მასპინძლებმა ახალი ჰაკა, „კაპა ო პანგო" შეასრულეს და თამაშიც დაიწყო. მაყურებელი ჯერ კარგად არცკი იყო მოკალათებული ტრიბუნებზე, პერსი მონტგომერიმ რომ მეორე წუთზე საჯარიმო გაიტანა და სტუმრები დააწინაურა.

მასპინძლები მალევე გავიდნენ წინ. ჯო როკოკოკომ ბურთი მოედნის ცენტრში მოიხელთა და 50 მეტრი ირბინა, სანამ მეტოქის ჩათვლის მოედანზე არ შეაღწია. გარდასახვა მახვილი კუთხიდან მაკდონალდმა გაიტანა და „შავები" 7:3 დაწინაურდნენ.

დიდხანს არ შენარჩუნებულა ანგარიში ტაბლოზე. ბრაიან ჰაბანამ, რომელსაც ბოლო თეთრთმეტ ტესტ-მატჩში 12 ლელო გაეტანა, ამჯერადაც იხეირა. მონტგომერიმ გარდასახა და „ქურციკები" 7:10 დააწინაურა.

ცოტა ხანში მასპინძელთაგან ერთ-ერთმა საუკეთესომ, კევენ მეალამუმ გაიბრწყინა. რამდენიმე მეტოქის გაპითურების შემდეგ ბურთი მაკდონალდს მიართვა და ამანაც გარჯა დაუფასა. გარდასახვა ლელოს ავტორმა თავადვე შეასრულა და წინ ისევ მაორები გავიდნენ — 14:10.

როკოკოკომ კიდევ ერთი ლელო დაამატა, მაკდონალდმა ესეც გარდასახა. ახალი ზელანდია 21:10 დაწინაურდა და თითქოს „შავების" ქომაგებს საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი აღარ უნდა შეჰპარვოდათ, თუმცა „ქურციკებმა" იმდენი ქნეს, რომ შესვენებამდე მაინც მოახერხეს სხვაობის 4 ქულამდე შემცირება. ლელო აფრიკელთა ცხრიანმა, ენრიკო ჯანუარიმ გაიტანა, მონტგომერიმ გარდასახვა შეასრულა ზუსტად. 21:17 და გუნდებმა გასახდელისკენ გასწიეს.

მეორე ტაიმის დაწყებიდან 11 წუთის განმავლობაში გუნდებს ქულა აღარ აუღიათ, თუმცა შემდეგ თამაში ისევ გაიხსნა და ეს არცთუ ისე საამო აღმოჩნდა მასპინძელთა გულშემატკივართათვის.

ჯერ მონტგომერიმ და მაკდონალდმა გაცვალეს თითო ზუსტი საჯარიმო, შემდეგ კი ჟაკ ფიურიმ სტუმრები დააწინაურა და ეს ლელოც, ისევე როგორც სამხრეთაფრიკელთა მიერ მიმდინარე სამეროზე გატანილი თითქმის ყველა ლელო, მეტოქის უხეშმა შეცდომამ გამოიწვია.

ჯერი კოლინზმა არაზუსტი პასი გააკეთა და ბურთი ჯანუარის მიუვიდა. როკოკოკომ მისი შეჩერება სცადა, თუმცა ჯანუარიმ ჟაკ ფიური მონახა, პასი არ დაუგვიანა და მანაც ბევრი ირბინა თუ ცოტა, ძელებს შორის გაილელოვა. მონტგომერიმ ისევ ზუსტად მოიქნია ფეხი — 24:27 „ქურციკთა" სასარგებლოდ.

ჯეიკ უაითის შეგირდებმა დაცვა გაამაგრეს, ხოლო როგორ ეხერხებათ ეს საქმე აფრიკელებს, წლეულს ყველა მათმა მეტოქემ მწარედ გამოსცადა. 4 წუთიღა იყო დარჩენილი საფინალო სასტვენამდე, რომ მეალამუმ როგორც იქნა, გაარღვია „ქურციკთა" რიგები და ჩათვლის მოედანს უწია. მაკდონალდის შემცვლელად მოედანზე აღმოჩენილმა ლიუკ მაკალისტერმა გარდამსახველი დარტყმა კარგად შეასრულა და მასპინძლები 31:27 დააწინაურა.

დარჩენილ ორიოდ წუთში ანგარიში აღარ შეცვლილა, სატურნირო მდგომარეობა კი ახლა ისეთია, რომ „შავებს" ავსტრალიის ნებისმიერი ანგარიშით დამარცხების შემთხვევაში პირველობა განაღდებული აქვთ.

**ლადო ფულუკიძე**



მეალამუს ბოლო ლელომ ქურციკები ავსტრალიელთა იმედად დატოვა

| | თ | მ | ფ | წ | შ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | 4 | 3 | 0 | 1 | 93:82 | 1 | 13 |
| ახალი ზელანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 77:62 | 2 | 10 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 0 | 3 | 48:74 | 2 | 27 |



## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
XI ეტაპი. გერმანია. 355,4 კმ

# ლოებმა მეორე გაინაღდა?!




სებასტიენ ლოების „სიტროენ-ქსარას" ვერავინ ეწევა

**მერალეთა** რიგით 27-ე ჩემპიონატმა უკვე ინტერესი დაკარგა. შარშანდელმა ტრიუმფატორებმა სებასტიენ ლოებმა და დანიელ ელენამ გუშინ მერვე დიდი პრიზი მოიგეს და სატურნირო ცხრილში ისეთი ვეება, უპირატესობით დაწინაურდნენ, რომ ეგებ მომდევნო ეტაპზე, სეზონის გასრულებამდე ოთხი რბოლით ადრე გაინაღდონ მეორე ტიტული.

საფრანგეთის საზღვართან, ტრირის მახლობლად მოასფალტებულ, ალაგ-ალაგ მიწიან გზებზე ფრანგულ-მონაკოურმა ეკიპაჟმა 19-დან 13 ჩქაროსნულ უბანზე ყველას აჯობა. მათი „სიტროენი" თითქმის ყოველ მონაკვეთზე ზრდიდა მდევრებთან სხვაობას და 355-კილომეტრიანი დისტანცია ლამის სარეკორდო, 102,9 კმ/სთ საშუალო სიჩქარით გაიქროლა. ეს ლოების ზედიზედ მეოთხე, სარეკორდო გამარჯვებაა გერმანიაში.

როგორც იქნა, გაახარა საჯინიბოს ბოსობა სების ბელგიელმა თანასიტროენელმა ფრანსუა დიუვალმა. „რალის მონტეიამ" ამჯერად დაუფიქრებლად და, რაც მთავარია, უშეცდომოდ იჯირითა და წელიწადში პირველად შედგა პოდიუმზე.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მარკუს გრონჰოლმი ლოებს სანაცვლოდ ხვინოდ, ორი წუთზე მეტით კი ჩამორჩა, მაგრამ მაინც კმაყოფილი დარჩა, რადგან უფრო გაზარდა სხვაობა პეტერ სოლბერგთან ვიცე-ჩემპიონის ბრძოლაში. „ჰოლივუდელ" პეტერის „სუბარუს" სიჩქარეთა კოლოფი მოეშალა, რის გამოც საკონტროლო პუნქტზე დაგვიანებისთვის წუთნახევრიანი „პენალტიც" მიიღო. მესამე დღეს კი გზისპირა თხრილში ჩაიჭრინა და მეორე ადგილი დაკარგა. ამდენი დაბრკოლების მიუხედავად, სოლბერგმა მაინც შეძლო საქულე ზონაში მოხვედრა.

მე-12 დიდი პრიზი 16-18 სექტემბერს დიდ ბრიტანეთში გაიმართება და ალბათ ჩემპიონიც გაირკვევა.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

1 სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) -------- 3სთ; 27.13,2
2 ფრანსუა დიუვალი (ბელგია, სიტროენი) ------------ ჩამორჩა 37,4
3 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) ------------ 2.04,8
4 მარკო მარტინი (ესტონეთი, პეჟო) ------------ 4.09,4
5 ჯანლუიჯი გალი (იტალია, მიცუბისი) ------------ 5.03,6
6 რომან კრესტა (ჩეხეთი, ფორდი) ------------ 5.12,3
7 პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) ------------ 7.48,1
8 სტეფან სარაზინი (საფრანგეთი, სუბარუ) ------------ 8.34,1

### საერთო ჩათვლა

1 ლოები — ელენა 93 ქულა; 2 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 61; 3 პ. სოლბერგი — მილსი 55; 4 მარტინი — პარკი 53; 5 გარდმაისტერი — ჰონკანენი (ფინეთი, ფორდი) 47; 6 როვანპერა — პიეტილაინენი (ფინეთი, მიცუბისი) 22; 7 დიუვალი — სმიტსი 16; 8 კრესტა — მოჟნი 13; 9 შტოლი — მინორი (ავსტრია, სიტროენი) 12; 10 საინსი — მარტი (ესპანეთი, სიტროენი) 11



## მსოფლიოს ჩემპიონატი. XI ეტაპი

### ჩეხეთის დიდი პრიზი. ბრნო— 5403 მ

**მოტო გრან პრი — 118,9 კმ**

1 ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) ------------ 43 წთ; 56,5
2 ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი) ------------ ჩამორჩა 1,6
3 მაქს ბიაჯი (იტალია, რეპსოლ ჰონდა) ------------ 3,4

**საერთო ჩათვლა**

1 როსი 261 ქულა; 2 ბიაჯი 129; 3 მარკო მელანდრი (იტალია, მოვისტარ ჰონდა) 126; 4 კოლინ ედვარდსი (აშშ, გალუაზ იამაჰა) 123; 5 სეტე გიბერნო (ესპანეთი, მოვისტარ ჰონდა) 115

**250 სმ³— 108,1 კმ**

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) ------------ 41 წთ; 25,0
2 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა ჰონდა) ------------ ჩამორჩა 1,3
3 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, კარერა აპრილია) ------------ 4,3

**საერთო ჩათვლა**

1 პედროსა 206 ქულა; 2 სტოუნერი 147; 3 ანდრეა დოვიციოსო (იტალია, სკოტ ჰონდა) 134; 4 სებასტიან პორტო (არგენტინა, აპრილია) 105; 5 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, აპრილია იტალია) 100

**125 სმ³— 102,7 კმ**

1 ტომას ლუტი (შვეიცარია, ჰონდა) ------------ 41 წთ; 32,4
2 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) ------------ ჩამორჩა 3,2
3 მარკო სიმონჩელი (იტალია, ნოსაბლე აპრილია) ------------ 3,3

**საერთო ჩათვლა**

1 ლუტი 144; 2 კალიო 136; 3 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, რედ ბულ KTM) 120; 4 სიმონჩელი 117; 5 მატია პასინი (იტალია, ტოტი აპრილია) 100

## PILOT PEN TENNIS

ნიუ ჰევენი. მაგარსაფარი.

ქალები. საპრიზო 600 ათასი $

**ფინალი**

**ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — ამელი მორეზმო (2, საფრანგეთი) 6:4 6:4

# დევენპორტი სეფეროგანს იბრუნებს

**ტრავმისგან** ხელახლა გამოსულმა ლინდსი დევენპორტმა ნიუ-ჰევენში მოიგო.

**უიმბლდონობის** მერე ზურგის ტრავმის გამო თვენახევრის ნაუქმარ 29 წლის ლინდსი დევენპორტს ემჩში ხელახლა შესასვლელად და საჩემპიონო ფორმის დასაბრუნებლად ერთი კვირაც საკმარისი ეყო.

ზედ აშშ-ის ღია პირველობისწინა ნიუჰევენობაზე მან (ლუბაობისა და ამჟღავნებლობის მერე) წლის მესამე, ხოლო კარიერის 48-ე ტიტული ისე იშოვა — ზურგის ტრავმას ვინლა ჩივის — მეტოქეთათვის ერთი სეტიც არ დაუთმია. პირველ შეხვედრაში მან ჩეხი კვეტა პეშკა გაანადგურა 6:4 6:1, მეოთხედფინალში ეს-ესაა ბარაქიანად ფორმააკრეფილ დანიელა ჰანტუხოვას სძლია 6:2 7:6, საფინალო საგზური კი რუსეთის სახელით მოჩოგნავე ანა ჩაკვეტაძეს წაჰგვარა, ვინაც — ბარემ აქვე ვთქვათ — ამ ბოლო დროს ერთობ რიგიანად თამაშობს და აშშ-ის ღია პირველობაზე 29-ე ნომრად განთესილი გამოვა.

რაც შეეხება ფინალს, წინა დღეს ესპანელ ანაბელ მედინა გარიგესთან სამსაათიანი ნახევარფინალით გამოფიტულ ამელი მორეზმოს ლინდსიმ ასევე განსაკუთრებული გართულებების გარეშე აჯობა. ეს მათი მეცამეტე დაპირისპირება გახლდათ და ამ მოგების მერე ამერიკელი ფრანგთან 10:3-ით უპირატესობს.

მართალია, გუშინ ცოტა მეტი მომივიდა, მაგრამ დღეს დაღლილი სულაც არ ვყოფილვარ, ხოლო ლინდსი დღეს ჩემზე უკეთ აწვდიდა და აბრუნებდა კიდეც, ჰალალად აღიარებდა ნამატჩევს მორეზმო და ამით ირიბად იმასაც მოგვიწოდებდა, რომ ლინდსის დამსახურებულ გამარჯვებაში ეჭვი არც ჩვენ შეგვეპაროს.

ჰოდა, არც გვეპარება.

ოთხი წაგებული ნიუჰევენური ფინალის შემდეგ (როგორც იქნა) ნავსის გამტეხ ლინდსის კი ამ გამარჯვებამ ყველაფერთან ერთად ერთი კვირის წინ მარია შარაპოვასთვის დათმობილი სეფეროგანიც დააბრუნებინა. დიახ — საამკვირაო რეიტინგსიაში ლინდსის უკვე 4609 ქულა აქვს, 18 წლის წანწკლა რუსეთელს კი — 4452. პირველია ლინდსი დაბლიუტიეის ჩემპიონთა რბოლაშიც, სადაც მას არა შარაპოვა, არამედ წლეულს ყველაზე მეტი, ექვსი ტიტულის მომრეწი კიმ კლაისტერსი მოსდევს.



ლინდსი დევენპორტი

კაცები. საპრიზო 650 ათასი $

**ფინალი**

**ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — ფელისიანო ლოპესი (5, ესპანეთი) 3:6 7:5 6:1

## ბლეიკი: ძმებო, თქვენ ჩემი ფეხები ხართ

**ერთ დროს** ამქრის ზეოცეულელი ჯეიმს ბლეიკი შარშან გადატანილი უმძიმესი ტრავმის შემდეგ რეიტინგსიის სარდაფში ჩაეშვა. ტრავმას მამის გარდაცვალებაც დაერთო და ბლეიკს უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა საიმისოდ, რათა სულიერი და სხეულებრივი კრიზისიდან გამომძვრალიყო.

ამ თვალსაზრისით გარდამტეხი სა-ამ-აშშ-ის-ღია-პირველობო სამზადისი გამოდგა, რომლის მსვლელობისასაც ბლეიკმა ჩრდილოამერიკულ მაგარსაფრებზე 4 მარცხის წილ 12 შეხვედრის მოგება შეძლო, ვაშინგტონობის ფინალსაც მიატანა და, აგერ, სულ ბოლოს, თავის მშობლიურ შტატ კონექტიკუტში, ნიუჰევენობაზე, კარიერის მეორე ტიტულიც იშოვნა.

შედეგად — თუკი ამ რამდენიმე თვის წინ ის ამქრის ზეორასეულშიც ვერ შედიოდა, ახლა უკვე ორმოცდამეცხრე საფეხური უპყრია.

სანამ ფინალში მეძაგარსაფრე ესპანელ ფელისიანო ლოპესს მოერეოდა, ბლეიკმა მიჯრით აჯობა ფრანგ მიშელ ლოდრას, იტალიელ ფილიპო ვოლანდრის, გერმანელ ტომი ჰაასს და არგენტინელ ხუან იგნასიო ჩელას. გადამწყვეტ მატჩში კი მოუგებლობა უფრო ძნელი იყო, ვიდრე მოგება, რაკილა ჯიბად იქაურს მილეთი ისე ზორბად უჭერდა მხარს, ბოლომდე ჩაფახებულსაც კი აზრზე მოიყვანდა.

„ოცნება ამიხდა — ასე მიმართავდა 6100-კაციან პუბლიკას მერე ბლეიკი — მეორე სეტში ვიგრძენი, რომ ფეხები უკვე აღარ მემორჩილებოდა. ამ გადამწყვეტ მომენტში ეს თქვენ იქეცით ჩემ ფეხებად, ძმებო."

სხვაფრივ — 25 წლის ამერიკელს აქამდე მხოლოდ 2002 წლის ვაშინგტონობაზე ემარჯვა. ის იმედოვნებს, რომ მისი წარმატებული აღმასვლა აშშ-ის ღია პირველობაზეც გაგრძელდება, რის საწინააღმდეგო, ცხადია, ჩვენც არაფერი გვაქვს. ისე კი, ყველას თავის ფეხებში, უკაცრავად, ამბავში გაუმარჯოს.



# საფინი ჩოგნისგაუქნევლად გავარდა

**აშშ-ის** ღია პირველობას დაწყებამდე გამოაკლდა ხვადთა ერთ-ერთი ფავორიტთაგანი, ტურნირის 2000 წლის ჩემპიონი მარატ საფინი.

ამის მიზეზი ტრავმირებული მუხლია, რომელზეც მან ორი თვის წინ ოპერაცია გადაიტანა და რომლის ბოლომდე მოშუშების ნაცვლადაც ორი კვირის წინ საფლეშინგმედოუზო სამზადისში ჩართვა და ცინცინატობაზე თამაში არჩია.

25 წლის რუსეთელი მკურნალობის შეწყვეტისთანვე აღიარებდა, რომ ეს ნაბიჯი აქიმთა რჩევის წინააღმდეგ გადადგა და რისკზე წასვლას აშშ-ის ღია პირველობაზე გამოსვლის უდიდესი სურვილით ხსნიდა.

სამწუხაროდ, მან ვერც საკადრისად მომზადება შეძლო — ცინცინატობის მეოთხედფინალიდან რობი ჯინეპრის გამოებუნძულებინა — და, რაც მთავარია, მოურჩენელი მუხლიც გაიმიზეზა.

მეჩოგნის პირად ვებგვერდზე ვკითხულობთ: „იმის მიუხედავად, რომ მარატს არაფერი ისე არ სურდა, როგორც აშშ-ის ღია პირველობაზე თამაში და, რომ მან ყველაფერი გააკეთა, რათა ეს შესაძლებელი გამხდარიყო, მისი სხეული ისევ უარზეა. ახლა ის დაბრუნებას აღარ იჩქარებს და ტრავმის ბოლომდე მორჩენას ეცდება."

თუ როდემდე გასტანს ეს „ბოლომდე მორჩენა", ცხადია, არავინ იცის. ის კი ცნობილია, რომ სამკურნალოდ რუსეთელი მეჩოგნე ისევ იტალიას მიაშურებს, სადაც იოპერაცია და ნაოპერაციევს შუშდებოდა კიდეც.

# კლაისტერსი პენსიას ეშურება

**ამქრის** პირველოსანყოფილმა კიმ კლაისტერსმა, შესაძლოა, კარიერა 2007 წლის დამლევს გაასრულოს. „ჰო, პროფესიულ ჩოგბურთს ალბათ ორი წლის მერე თავს დავანებებ — განუცხადა მან ერთ-ერთ ბელგიურ გაზეთს — ჩემი სხეული უკვე ისედაც ბევრ პრობლემას მიქმნის და წარმომიდგენია, მერე და მერე რა იქნება."



„მე ძალიან მიყვარს მოგება და ჩოგბურთით მართლაც დიდ სიამოვნებას ვიღებ, მაგრამ ცხოვრება კორტს გარეთაც მიდის და ეს ჩემთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს გაუთავებელი ტურნირები, გადაფრენა-გადმოფრენა უკვე ძალიან მაწუხებს. ყოველივე ამის გამო კორტზე, დიდი-დიდი, კიდევ ორი-სამი წელი გავჩერდე."

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ეს ბუთქუნა ბელგიელი გოგო ჯერ მხოლოდ 22 წლისაა და სამსეზონო მონაგართა თვალსაზრისით — 6 ტიტული და 49 გამარჯვება 9 მარცხის წილ — მდედრიონში ბადალი არ ჰყავს.

ერთადერთი, რაც მას აკლია, დიდი მუზარადის რაგინდარა ტურნირის ჯილდოა და, უკეთუ საქმეში ჩახედულ ხალხს ვერწმუნებით, აშშ-ის ამ ღია პირველობაზე მას ამ დანაკლისის შევსების საუცხოო შანსი ექნება.

ყოველივე ამის ფონზე კიმის მჭმუნვარე ფიქრები ეგებ ცოტა გაუგებარიც იყოს, თუმცა ქალისას, თუნდაც ის წარმატებული მეჩოგნე გახლდეთ, აბა, რას გაიგებ.

ისე, ქალის ვითომ განუჭვრეტელ ბუნებაზე ოხვრა იქით იყოს და არც იმის დავიწყება ეგების, რომ ლამის მთელი შარშანდელი სეზონი მას მაჯის ტრავმის გამო წაეშურდლა. კორტზე ის წლეულს თებერვალშიღა დაბრუნდა და ცოტა ხანში მუხლმაც დაალალატა. სულ ახლახანს კი, როცა ტორონტობის ფინალში თვისტომ ჟუსტინ ენენ-არდენს მოუგო, აქილევსის მყესიც იტკინა.

მაგრამ ტიტულები უტრავმოდ რომ არავის მოუკრეფიან, ეგ არაახალია ამბავია და ამაზე სიტყვის გაგრძელებას „სტაჟნის" ბოლომდე გავსება აჯობებს.

**ლევან ძელაურაძე**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან ძელაურაძე, თამარ მიქელაძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუხიშვილი, ელენე გულუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge